უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 16 – 17 ივლისი, 2026

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 10 აგვისტო, 2026

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

თამარ გოდერიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ალავიძე, შპს ალტე უნივერსიტეტი, საქართველო

ციცი პაპუნაშვილი, სსიპ - თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

2026 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	980
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: 960 შეჩერებული: 327
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 925 შეჩერებული: 323
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: 67 მათ შორის აფილირებული: 67 მოწვეული: 160 სამეცნიერო:
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	24.06.2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 08 ივლისი №689396
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	6/24/2026
სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	1400

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას; ვიზიტი შედგა 2026 წლის 16 დ 17 ივლისს. შეხვედრები ძირითადად პირისპირ ფორმატში მიმდინარეობდა, ხოლო საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნა ჰიბრიდული ფორმატიც. ცალკეული თანამშრომლები გასაუბრებებში ონლაინ რეჟიმში ჩაერთნენ. ვიზიტს პროფესიული და მშვიდი ატმოსფერო ახლდა თან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ფართო წრეს დაინტერესებულ მხარეთა შორის: ადმინისტრაციას (რექტორი, ვიცე-რექტორი, დირექტორი), თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და საფაკულტეტო საბჭოებს, დეკანებსა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, სასწავლო პროცესის მართვის, საგამოცდო ცენტრის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს, აკადემიურ პერსონალს ოთხივე პროგრამის მიხედვით (მედიცინა, სტომატოლოგია, განათლების ადმინისტრირება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა), მოწვეულ პერსონალს, კლინიკურ სწავლებაში ჩართულ თანამშრომლებს, კლინიკური უნარების ცენტრისა და ლაბორატორიის წარმომადგენლებს, ადამიანური რესურსების, ფინანსურ, საქმისწარმოებისა და იურიდიულ სამსახურებს, სტუდენტთა მხარდაჭერის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურებს, დამსაქმებლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ასევე აქტიურ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებიდან.

დოკუმენტაციისა და გასაუბრებების ანალიზის შედეგად წარმოქმნილი კითხვების დასაზუსტებლად ექსპერტთა ჯგუფმა დამატებითი მასალები მოითხოვა, რომლებიც უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ წარადგინა. შემდგომში ჯგუფმა შეაფასა წარმოდგენილი მასალები ავტორიზაციის ყველა შვიდი სტანდარტის ჭრილში, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით.

ანალიზმა აჩვენა, რომ ამჟამად არსებული რესურსებით უნივერსიტეტს რეალურად შეუძლია მოემსახუროს დაახლოებით 1175-1200 სტუდენტს მედიცინის პროგრამის ფარგლებში და დამატებით 80-100 სტუდენტს სამაგისტრო პროგრამებზე. ჯამში, დაახლოებით 1280-1300 სტუდენტს. იმისთვის, რომ კონტინგენტი 1400 სტუდენტამდე გაიზარდოს, აუცილებელია დამატებითი სალექციო აუდიტორიების დამატება. უნივერსიტეტის მენეჯმენტს უკვე შემუშავებული აქვს შესაბამისი გეგმა ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, ხოლო 1400 სტუდენტამდე ზრდას გეგმავს ეტაპობრივად, სამწლიან პერიოდში.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

მაქსიმუმ 500 სიტყვა

რეკომენდაციების შეჯამება[1]

- რეკომენდებულია, უსდ-მ 1,400 სტუდენტისთვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად მომდევნო სამი წლის განმავლობაში უზრუნველყოს დამატებითი სალექციო აუდიტორიების მოწყობა.

რჩევების შეჯამება

- სასასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს დამოუკიდებელი კვლევითი დეპარტამენტის ჩამოყალიბების საკითხი.
- სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები, განსაკუთრებით კლინიკურ კომპონენტში ჩართული სპეციალისტებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

- *საუკეთესო პრაქტიკა 1*

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილი** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

▰ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

[1] საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **არსებული და არა მოთხოვნილი**[2] ზღვრული რაოდენობის მისაღებად.*

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტს.

აღწერა:

მაქსიმუმ 500 სიტყვა

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია
1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

[2] იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
უსდ-ს მისია პირდაპირ და დეტალურად აყალიბებს მის როლს ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო დონეზე. ტექსტში ვკითხულობთ, რომ „უნივერსიტეტის როლი საქართველოს, რეგიონისა და საერთაშორისო მასშტაბით გამოიხატება საუკეთესო პრაქტიკაზე და ინოვაციებზე დაფუძნებულ განათლების ტრანსფერში, საერთაშორისო პარტნიორობით მიღებული გამოცდილების გამოყენებაში საქართველოსა და აჭარის რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში“. ეს შვიდპუნქტიანი ჩამონათვალი მოიცავს როგორც ადგილობრივ და რეგიონულ განზომილებას, ისე გლობალურ ასპექტს — მულტიკულტურულ გარემოს, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობასა და თანამშრომლობას. უნივერსიტეტი საერთაშორისო გამოცდილებისა და ინოვაციების ადგილობრივ საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვაზეა ორიენტირებული, განსაკუთრებული აქცენტით აჭარის რეგიონის განვითარებაზე. საერთაშორისო დონეზე მისი როლი მრავალმხრივია. ხელს უწყობს განათლების გლობალიზაციას მულტიკულტურული გარემოს შექმნით და აქტიური თანამშრომლობით მუშაობს ქართული აკადემიური რესურსისა და საგანმანათლებლო სფეროს მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციაზე. მისიაში ასევე კარგადაა ასახული ცოდნის შექმნისა და გაზიარების ფუნქცია — გამოყენებითი კვლევებისა და დაგროვილი გამოცდილების საზოგადოებასთან გაზიარების გზით, რაც პირდაპირ უკავშირდება უმაღლესი განათლების ფუნდამენტურ დანიშნულებას. გარდა ამისა, მისია ხაზგასმით მიუთითებს გლობალურად გამოყენებადი უნარების, სამეცნიერო ხედვისა და მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე პროფესიონალების ჩამოყალიბებაზე, რაც სცდება ვიწრო პროფესიულ მომზადებას და სტუდენტთა უფრო ფართო, ჰოლისტიკურ განვითარებაზე მეტყველებს. შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობა პირდაპირ არის ასახული ტექსტში, კერძოდ „კურსდამთავრებულთა მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად" და „მსოფლიო მასშტაბით დასაქმებასთან მიმართებით" ფრაზებში. მისიაში დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადება პირდაპირ არ არის ხაზგასმული, თუმცა ლიბერალური ფასეულობების ჩამოყალიბებაზე მითითება გარკვეულწილად გულისხმობს დემოკრატიულ პრინციპებს. საზოგადოებასთან კავშირი გამოხატულია საგანმანათლებლო სოციალური პროექტებისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მეშვეობით, რაც უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობას ასახავს. უნივერსიტეტის საერთაშორისო პროფილი მკაფიოდ ჩანს. აქცენტი კეთდება მაღალ სამეცნიერო და ეთიკურ სტანდარტებზე, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებასა და მულტიკულტურულ გარემოზე. ასევე მკვეთრად გამოკვეთილია ინოვაციურობა, კერძოდ, სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და მოქნილი, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების პრიორიტეტულობა. შესაბამისად, მისია საკმაოდ ზუსტად ასახავს უნივერსიტეტის პროფილსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი ბათუმის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ოთხ ძირითად დოკუმენტს: მისიის განცხადებას, 2021-2027 წლების სტრატეგიულ გეგმას, სამოქმედო გეგმას და სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიას. სტრატეგიულ გეგმასა და ინსტიტუციურ მიზნებს შორის კავშირი კარგადაა გამოკვეთილი: სტრატეგია სამ მიმართულებად არის სტრუქტურირებული, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიისა და ხედვიდან. სტრატეგია, ზოგადად, უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევის ლოგიკურ ჩარჩოს, რადგან სამივე სტრატეგიული მიმართულება: სწავლებისა და კვლევის განვითარება, ორგანიზაციული განვითარება და ინფრასტრუქტურული განვითარება, დაშლილია კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებად, ამოცანებად და ქვეამოცანებად იერარქიული სტრუქტურით (მაგალითად, კოდი 1.1.1, 1.1.2 და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს მისიიდან სტრატეგიამდე და შემდეგ კონკრეტულ აქტივობებამდე მკაფიო კავშირს.

მიზნების ფორმულირების კუთხით, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების ცხრილები აჩვენებს, რომ თითოეულ ქვეამოცანას თან ახლავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები (მაგალითად, „სრული შესაბამისობა არანაკლებ 4 სტანდარტთან" ან „წლიურად დამატებით 2 კლინიკურ ბაზასთან გაფორმებული ხელშეკრულება"), რაც მათ გაზომვადს ხდის. ასევე მითითებულია განხორციელების კონკრეტული წლები (2021-დან 2027-მდე სტრატეგიულ გეგმაში და 2024-2026 სამოქმედო გეგმაში), რაც მოწმობს დროში გაწერილობას.

დაწესებულებას აქვს ფორმალიზებული და დოკუმენტირებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დეტალურად აღწერს დაგეგმვის სუბიექტებს, საინფორმაციო წყაროებს (მისია, ხედვა, SWOT, შრომის ბაზრის კვლევა, კმაყოფილების კვლევები და სხვა), დაგეგმვის ფაზებს და თითოეული ფაზისთვის დასმულ საკვანძო კითხვებს, გამოსაყენებელ მეთოდებსა და მოსალოდნელ შედეგებს. ეს მეთოდოლოგია ასევე აწესრიგებს რისკების შეფასების პროცედურას რისკის მატრიცის მეშვეობით და განსაზღვრავს კონტროლის მექანიზმებს: ანგარიშგებას, ინსტიტუციურ შესრულების ინდიკატორებს (KPI) და მონიტორინგს, თითოეულისთვის განსაზღვრული პერიოდულობით.

თანამონაწილეობითობის კუთხით, დასტურდება პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის ჩართულობა. მეთოდოლოგია პირდაპირ მიუთითებს, რომ სტრატეგიის განვითარების ჯგუფი მოიცავს ადმინისტრაციის მმართველ რგოლს, პროფესორებსა და სტუდენტებს, ხოლო მონიტორინგის ჯგუფში საჭიროებისამებრ ერთვებიან სტუდენტური თვითმმართველობისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტებიც კი. სტრატეგიის დოკუმენტში ასევე მოცემულია მითითება „ბაუს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებების შედეგებზე".
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ფართო სპექტრს მოიცავს და მოიცავს ფუნქციონირებისთვის აუცილებელ თითქმის ყველა ასპექტს: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და აკრედიტაციას (მაგალითად, სარეზიდენტო და სამაგისტრო პროგრამების მომზადება), ხარისხის უზრუნველყოფას, კვლევით საქმიანობას, ინფრასტრუქტურულ განვითარებას (ცალკე მიმართულებად), ორგანიზაციულ და ადამიანურ რესურსებს (პერსონალის განვითარება, შენარჩუნება). სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ირიბად აისახება ინსტიტუციური ინდიკატორების ცხრილში (მაგალითად, საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის სამიზნე ნიშნულები).
სამოქმედო გეგმის ცხრილები საკმაოდ დეტალურია და ნათლად აყალიბებს განსახორციელებელ აქტივობებს (ქვეამოცანების დონეზე), მათ პასუხისმგებელ სუბიექტებს (მაგალითად, „სკოლა", „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური"), შესრულების ინდიკატორებსა და ვადებს (წლების მიხედვით X-ით მონიშნული პერიოდები). თითოეული აქტივობისთვის მითითებულია საჭირო რესურსების დეტალური დაშლა — ადამიანური რესურსი (შიდა და გარე), მატერიალური რესურსი (შიდა და გარე) და ბიუჯეტი წლების მიხედვით განაწილებული ჯამური და დეტალური თანხებით (მაგალითად, კურიკულუმის ჯგუფის ანაზღაურება, აკრედიტაციის საფასური, ინფრასტრუქტურის ხარჯები).
ამგვარად სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმარების სისტემა სტრუქტურულად საკმაოდ სრულყოფილია და მოიცავს კავშირს მისია-სტრატეგია-სამოქმედო გეგმას შორის, ფორმალიზებულ მეთოდოლოგიას, პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას, და დეტალურ რესურსულ დაგეგმვას. შესაძლო გასაუმჯობესებელ სფეროებად შეიძლება ჩაითვალოს დამსაქმებელთა ჩართულობის მექანიზმის უფრო მკაფიო დოკუმენტირება და სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ცალკე, ხაზგასმული სექციის არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს მისია
- უსდ-ს სტრატეგიული გეგმა 2021-2027
- უსდ-ს სტრატეგიული რისკების მართვის გეგმა 2023
- სტრატეგიული დაგეგმარების და მონიტორინგის მეთოდოლოგია (2025)
- BAU სტრატეგიული რისკების მართვის გეგმა 2023
- დეპარტამენტული სამოქმედო გეგმა
- სამოქმედო გეგმა 2024-2026

• სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027 2025 ცვლილებებით
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია* • *რეკომენდაცია 1*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* • *რჩევა 1*

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესწავლა ორ კითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობდა: პირველი, რამდენად იზრდება ინტერესი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ, და მეორე, რამდენად აქვს დაწესებულებას საკმარისი შესაძლებლობა, სტუდენტთა ზრდადი ნაკადისთვის ხარისხიანი მომსახურება უზრუნველყოს. პირველი მიმართულების შესწავლა დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და გამოთხოვილი ანგარიშების ანალიზის გზით მოხდა. ამჟამად უსდ-ში სწავლობს 925 აქტიური სტატუსის უცხოელი სტუდენტი, ხოლო სტატუსშეჩერებულთა რაოდენობა ამ ჯგუფში 323-ს შეადგენს — ეს არის უცხოელ სტუდენტთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 34% და სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობ 32%. ადგილობრივ სტუდენტებში აქტიური სტატუსი 35 ადამიანს აქვს, სტატუსშეჩერებული კი 4-ს, რაც ადგილობრივების ჯგუფის შიგნით დაახლოებით 11%-ს, ხოლო მთელი კონტინგენტის მასშტაბით მხოლოდ 0,4%-ს წარმოადგენს. დაწესებულების მიერ განაცხადებული სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ამჟამად 980-ია. აქტიური სტუდენტების რაოდენობა ამ ზღვართან შედარებით 99%-ს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ ადგილები თითქმის არის შევსებული; თუ დამატებით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებსაც დავითვლით, საერთო შევსების მაჩვენებელი 131.1%-მდე იზრდება, რაც ფაქტობრივად არსებულ ზღვარს 30%-ით გადააჭარბებს.

უნივერსიტეტის შეთავაზებულ პროგრამებზე არსებობს მოთხოვნა რაც მოწმობს უსდ მიერ წარმოდგენილი პროგონიზირების შედეგები. კერძოდ ძირითადი ტენდენცია ასეთია: ბაუ-ს საერთაშორისო პროგრამებზე მოთხოვნა მაღალია და სტაბილურად სამედიცინო მიმართულებისკენაა გადახრილი - Meta Ads-ის 4,172 ლიდიდან 71,5% მედიცინას ეკუთვნის და 28,5% სტომატოლოგიას, ხოლო Salesforce-ის რეალურ განაცხადებშიც იგივე პროპორცია მეორდება. საწყისი ინტერესი (4,172 ლიდი) მნიშვნელოვნად აღემატება რეალურად შევსებულ განაცხადებს (735), რაც ჩვეულებრივი ძაბრის ეფექტია, თუმცა განაცხადების უმეტესობა ჯერ კიდევ საწყის ან შუალედურ ეტაპზეა და მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს გაცემული პირობითი მიღება. ამას ემატება Admissions-ის ელფოსტაზე წლიური 6,275 წერილი, რაც მაღალი საკომუნიკაციო დატვირთვისა და მდგრადი მოთხოვნის დამატებით დასტურს იძლევა.

მეორე მიმართულების, ანუ რესურსული მზაობის შეფასება ასევე ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით მოხდა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კუთხით. რაოდენობრივი შეფასება ოთხ ძირითად ჭრილში წარიმართა: **სააუდიტორიო რესურსების ანალიზი (იხ. მე-7 სტანდარტი), საგამოცდო ცენტრისა და ბიბლიოთეკის რესურსების შეფასება (იხ. მე-7 სტანდარტი), პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის ანალიზი (მე-2 სტანდარტი), და ლაბორატორიული რესურსების შეფასება იხ. მე-7 სტანდარტი).**

პერსონალის ანალიზი

პროგრამების მიხედვით პერსონალის რაოდენობის კალკულაცია შემდეგნაირად გამოიყურება: თითოეული პროგრამისთვის ცალკე მოცემულია სამიზნე ნიშნულებთან შედარების ცხრილი და აკადემიური რესურსის ჯგუფ-საათობრივი გაანგარიშება.

მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან ფაქტობრივად შეადგენს 36/68-ს, პროგრამის ნიშნულით 1/2 და შესრულებულია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა გეგმურ რაოდენობასთან შეადგენს 104/1250-ს, ნიშნულით 1/6, და შეფასებულია შესრულებადად, მოწვეული კლინიკური პერსონალის რეზერვის გათვალისწინებით. აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან პერსონალთან შეადგენს 31/104-ს, ნიშნულით 1/3, და შესრულებულია, ხოლო აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან, 31/1250, ნიშნულით 1/40, შეფასებულია გასაუმჯობესებლად. პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი 100%-ია, ნიშნულის ფარგლებში. საჭირო ჯგუფ-საათების ჯამი, 2 სალექციო ჯგუფის 1749 საათზე, 12 სასემინარო ჯგუფის 958 საათზე და 24 ლაბორატორიული ჯგუფის 137 საათზე გამრავლებით, შეადგენს 18,282 ჯგუფ-საათს, ხოლო ხელმისაწვდომი რესურსი, 12 პროფესორის, 6 ასოცირებული პროფესორის, 16 ასისტენტ-პროფესორის, 8 ასისტენტისა და 131 მოწვეული ლექტორის დატვირთვიდან გამომდინარე, შეადგენს 57,130 ჯგუფ-საათს - ანუ საჭიროებას თითქმის სამჯერ აღემატება.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 10/35-ს, ნიშნულით 1/3, და შესრულებულია. ჯამური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან, 45/125, ნიშნულით 1/3, შესრულებადია. აფილირებული პერსონალის თანაფარდობა მთლიან პერსონალთან, 10/45, ნიშნულით 1/5, და სტუდენტებთან, 10/125, ნიშნულით 1/13, ორივე შესრულებულია, ისევე როგორც 100%-იანი შენარჩუნების მაჩვენებელი. საჭირო ჯგუფ-საათები, 1 სალექციო ჯგუფის 1488 საათზე, 1 სასემინარო ჯგუფის 1950 საათზე და 2 ლაბორატორიული ჯგუფის 126 საათზე გამრავლებით, ჯამში შეადგენს 3690 ჯგუფ-საათს, ხოლო ხელმისაწვდომი რესურსი, 3 პროფესორის, 1 ასოცირებული პროფესორის, 3 ასისტენტ-პროფესორის, 3 ასისტენტისა და 35 მოწვეული ლექტორის დატვირთვით, შეადგენს 7340 ჯგუფ-საათს - ორჯერ მეტს საჭირო რაოდენობაზე. დოკუმენტის დასკვნით, პროგრამა ამ ეტაპზე ყველა სამიზნე ნიშნულს აკმაყოფილებს და დამატებითი აქტივობები საჭირო არ არის.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა. ყველა ხუთივე თანაფარდობის მაჩვენებელი (8/11 მოწვეულთან, 19/30 სტუდენტებთან, 7/19 და 7/30 აფილირებული

პერსონალისთვის, და 100%-იანი შენარჩუნება) აღემატება შესაბამის ნიშნულებს და შესრულებულია. აკადემიური კომპონენტის საჭირო 974 ჯგუფ-საათი სრულად იფარება ხელმისაწვდომი 1650-ზე მეტი ჯგუფ-საათით (3 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 2 ასისტენტი და მოწვეული ლექტორები). პრაქტიკული კომპონენტისთვის საჭირო 7 ჯგუფის საპირისპიროდ ხელმისაწვდომია 10 პერსონალის ერთეული, 7 პრაქტიკის ობიექტი და 7 მენტორი, ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის 15 სტუდენტზე საჭირო 5 დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალიც უზრუნველყოფილია. დასკვნის მიხედვით, 2025-2026 აკადემიური წლისთვის პერსონალის ზრდის საჭიროება არ გამოვლენილა.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. თანაფარდობის მაჩვენებლები (9/16 მოწვეულთან, 25/30 სტუდენტებთან, 5/25 და 5/30 აფილირებული პერსონალისთვის, და 100%-იანი შენარჩუნება) ყველა ნიშნულს აკმაყოფილებს. აკადემიური კომპონენტისთვის საჭირო 971 ჯგუფ-საათი დაფარულია 1950-ზე მეტი ხელმისაწვდომი ჯგუფ-საათით (2 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი, 2 ასისტენტი და მოწვეული ლექტორები). პრაქტიკული კომპონენტისთვის საჭირო 7 ჯგუფის მიმართ ხელმისაწვდომია 10 პერსონალი, 10 პრაქტიკის ობიექტი და 10 მენტორი, ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის 15 სტუდენტზე ხელმისაწვდომია 7 დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი. აღინიშნება, რომ 2027-2028 აკადემიური წლისთვის, სამაგისტრო ნაშრომების პროგრამაში დარჩენის შემთხვევაში, დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა შესაძლოა 2-3 სპეციალისტით გაიზარდოს, თუმცა 2025-2026 წლისთვის დამატებითი აქტივობა გადამწყვეტი არ არის. ჯამურად, ოთხივე პროგრამაში აკადემიური რესურსის ხელმისაწვდომი ჯგუფ-საათები საჭიროებაზე მნიშვნელოვნად მეტია.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობითი პროცესები განსაზღვრულია მისი მისიის, მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად. თვითშეფასების დოკუმენტის და ინტერვიუების შედეგად დასტურდება რომ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის განაცხადის მომზადებაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის როგორც მმართველი რგოლი ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა უნივერსიტეტის სტრუქტურის შემდგომ განვითარებასთან მიმართებით განიხილოს დამოუკიდებელი კვლევითი დეპარტამენტის შექმნის საკითხი. აღნიშნული დეპარტამენტი ინსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას, კოორდინაციას, მონიტორინგსა და განვითარებას. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ხელს შეუწყობს კვლევითი პოლიტიკის სისტემურ განხორციელებას, საგრანტო პროექტების მოზიდვასა და ადმინისტრირებას, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობების გაფართოებას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი პოტენციალის განვითარებას, კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ცოდნის ტრანსფერის პროცესების გაძლიერებას. დამოუკიდებელი კვლევითი დეპარტამენტის არსებობა ასევე უზრუნველყოფს კვლევითი პროცესების ინსტიტუციურ მდგრადობას და შეამცირებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციების ფრაგმენტულად გადანაწილების რისკს. ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს რომ სწრაფად განვითარებადი უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულებების უმეტესობაში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი კვლევითი სტრუქტურული ერთეული (Research Office/Research and Innovation Office), რომელიც პასუხისმგებელია არა მხოლოდ კვლევითი საქმიანობის ადმინისტრირებაზე, არამედ კვლევითი სტრატეგიის განხორციელებაზე, კვლევის ხარისხის უზრუნველყოფაზე, საერთაშორისო საგრანტო შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და ინსტიტუციური კვლევითი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პირობებში მსგავსი სტრუქტურის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იზრდება კვლევით საქმიანობაში ჩართული ლექტორების და სტუდენტების რაოდენობა, რაც მოითხოვს ცენტრალიზებულ კოორდინაციასა და ეფექტიან ინსტიტუციურ მხარდაჭერას. ამასთან, აღნიშნული გააძლიერებს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთიანობას, შეამცირებს ფუნქციების დუბლირების რისკს, გაზრდის ანგარიშვალდებულებასა, პასუხისმგებლობის გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს კვლევითი მიმართულების სტრატეგიულ განვითარებას.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი როლი ინსტიტუციური განვითარების პროცესში. აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტეგრირება უნივერსიტეტის მართვის პროცესებში, სტრატეგიული და საოპერაციო ცვლილებების მხარდაჭერა, შეფასების მექანიზმების განვითარება და ხარისხის კულტურის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებები. წარმოდგენილია ასევე შეფასების პროცესების დახვეწის მაგალითები, მათ შორის ორმაგი შეფასების (Double Blind Review) პრინციპის დანერგვა შეფასების ობიექტურობის გასაძლიერებლად. ლექტორებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუირების პროცესში დაფიქსირდა რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა არის უზრუნველყოფილი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება აკადემიური თავისუფლების, ეთიკური სტანდარტებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. უნივერსიტეტში დამტკიცებული და ქმედითია პერსონალის და სტუდენტთა ეთიკის კოდექსები, რომლებიც ქმნიან ეთიკური გარემოს უზრუნველყოფის საფუძველს. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი ეთიკის კოდექსის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმები, ეთიკური დარღვევების პრევენციის ღონისძიებები, მათი მონიტორინგის შედეგები და განხორციელებული რეაგირების მაგალითები. ასევე, მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო დეტალურად ყოფილიყო წარმოდგენილი უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები, რომლებიც მიმართულია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური კულტურის დამკვიდრებისკენ. ლექტორებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტში აკადემიური თავისუფლება ცალსახად დაცულია. უნივერსიტეტში შემუშავებულია და ფუნქციურია - ,,პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი". ამასთან, ინტერვიუების დროს დადასტურდა რომ პლაგიატის პრევენციის სისტემა Turnitin არის ფუნქციური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• სტუდენტთა რაოდენობის პროგნოზირების ანგარიში • კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია • გასაუბრების შედეგები • უნივერსიტეტის მისია. • უნივერსიტეტის სტრატეგია. • უნივერსიტეტის სტრუქტურა. • უნივერსიტეტის დებულება. • ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული ანგარიშები. • პერსონალის ეთიკის კოდექსი. • სტუდენტთა ეთიკის კოდექსი. • პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია* • *რეკომენდაცია 1*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
• *სასასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს დამოუკიდებელი კვლევითი დეპარტამენტის ჩამოყალიბების საკითხი.*

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურით“, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ინიცირების, შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების ეტაპებს. სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით დამატებითი მოთხოვნები განსაზღვრულია „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებას. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებისას პროგრამის ხელმძღვანელი ან ინიციატორი სკოლის საბჭოს წარუდგენს პროგრამის კონცეფციასა და შესაბამის დასაბუთებას, რომელიც მოიცავს პროგრამის საჭიროების, აქტუალობის, უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ მიმართულებებთან შესაბამისობის, განხორციელების შესაძლებლობისა და შრომის ბაზარზე მოთხოვნის ანალიზს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის შემდგომი განვითარების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელი და ფორმირდება სამუშაო ჯგუფი. შემუშავებული პროგრამა შეფასებისთვის წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემს დადებით დასკვნას, რის შემდეგაც პროგრამა განიხილება სკოლის საბჭოზე. სკოლის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს, ხოლო მისი დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის მომზადებას აკრედიტაციის პროცედურისათვის. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ვერ მიიღებს აკრედიტაციას, სკოლის საბჭო პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად განიხილავს პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს, მათ შორის პროგრამის გადამუშავებას, აპელაციას ან მისი განხორციელების შეწყვეტას. დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ეფუძნება მათი განხორციელების ეფექტიანობის უწყვეტ შეფასებას. შეფასების სისტემა მოიცავს როგორც პროგრამის, ისე სასწავლო კურსების, აკადემიური პერსონალის, სწავლის შედეგების, სწავლებისა და შეფასების

მეთოდების, აკადემიური დატვირთვის, სტუდენტთა მიღწევების, სასწავლო გარემოსა და რესურსების, ასევე გარე საექსპერტო და კოლეგიური შეფასების კომპონენტებს. შეფასების პროცესში გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია, მათ შორის ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც გამოიყენება გამოკითხვების შედეგების სიღრმისეული ინტერპრეტაციისთვის. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების ერთობლიობით.

შეფასებების შედეგების საფუძველზე პროგრამებში საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები. უმნიშვნელო ცვლილებები მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ, ხოლო ისეთი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე, განიხილება და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

დოკუმენტაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. ახალი პროგრამების შემუშავებაში ჩართული არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული ერთეულები, ხოლო მოქმედი პროგრამების განვითარებაში მონაწილეობენ სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც.

პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა. მედიცინის პროგრამის განვითარებაში გამოყენებულია ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის გამოცდილება, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამის შემთხვევაში გათვალისწინებულია სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის (ADEE) რეკომენდაციები. პროგრამების შემუშავების პროცესში ასევე გამოიყენება ადგილობრივი ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა მოთხოვნები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი, დარგობრივი მახასიათებლები და შედარებითი ანალიზი ქართულ და საერთაშორისო პროგრამებთან.

სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გამოყენებულია დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი, მსოფლიო ბანკისა და კონკურენტული ინოვაციების ფონდის პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციები, ხოლო განათლების ადმინისტრირების პროგრამის შემთხვევაში – ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგროვილი გამოცდილება.

დაწესებულებაში პროგრამის განვითარების მიზნით ფორმირდება სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის საქმიანობა მოიცავს სწავლის შედეგების შემუშავებასა და გადახედვას, სასწავლო გეგმის, შეფასების მეთოდების, სილაბუსებისა და სხვა კომპონენტების განვითარებას. საჭიროების შესაბამისად სამუშაო შეხვედრები ტარდება როგორც სრული შემადგენლობით, ასევე თემატური მცირე ჯგუფების ფორმატში.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში ჩართული არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული ერთეულები და სტუდენტები. აღნიშნული თანამშრომლობის საფუძველზე მუშავდება სწავლის შედეგების რუკა, ხდება სასწავლო კურსების შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, წინაპირობების განსაზღვრა და კრედიტებისა და საათების გადანაწილების ოპტიმიზაცია.

სტუდენტთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია როგორც უშუალოდ სამუშაო ჯგუფებში, ისე მათი გამოკითხვებისა და უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე. სტუდენტთა მოსაზრებები გამოიყენება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების დახვეწისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის სრული პაკეტის შემუშავების შემდეგ დოკუმენტაცია განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სკოლის საბჭოზე, ხოლო შემდგომ აკადემიურ საბჭოზე, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამის დამტკიცების შესახებ.

შეფასების პროცესში ყურადღება ეთმობა შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა მოლოდინების ანალიზს. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამების განახლებისას განხორციელდა მასშტაბური შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც მოიცავდა 115 დამსაქმებელს. დამატებით, 2024–2025 წლებში სხვადასხვა პროგრამისთვის განხორციელდა დამსაქმებელთა გამოკითხვები და ვაკანსიების ანალიზი, რაც გამოყენებულია პროგრამების განვითარებისთვის.

დოკუმენტური მასალების მიხედვით, პროგრამების განვითარებაში გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და დამსაქმებელთა უკუკავშირი. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელდა სასწავლო პროცესის გარკვეული ცვლილება, მათ შორის დასკვნითი გამოცდების ფორმატის მოდიფიცირება, სემესტრის ხანგრძლივობის გაზრდა, კლინიკური პრაქტიკის გაფართოება და არჩევითი კომპონენტების განახლება.

მედიცინის პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ეფუძნება სამიზნე ნიშნულების რუკას, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური შედეგების სისტემური მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირება.

დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამების განახლება ხორციელდება ყოველწლიურად და ეფუძნება სწავლის შედეგების შეფასებას, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს, აკადემიური პერსონალის რეკომენდაციებსა და სასწავლო კურსების შეფასების შედეგებს.

სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პირობებში განხორციელებული ცვლილებები მიმართული იყო შეფასების პროცესის ეფექტიანობის შენარჩუნებისკენ. კერძოდ, ვერბალური გამოცდის ნაწილი ჩანაცვლდა მრავლობითპასუხიანი ქეისებით, ხოლო ვერბალური შეფასების ელემენტები ინტეგრირდა მიმდინარე შეფასების კომპონენტში.

აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე პირველი და მეორე სასწავლო წლის ინტეგრირებულ ბლოკებში დაწესდა 20%-იანი მინიმალური ზღვარი მცირე მოცულობის დისციპლინებისთვის.

პროგრამის შესაძლო გაუქმების შემთხვევაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტუდენტთა ინტერესების დაცვის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებას ან პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით მიღებული კრედიტების აღიარების უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში მედიცინის პროგრამა შეფასდა კოლეგიური ურთიერთშეფასების ფორმატშიც. ექსპერტთა რეკომენდაციები შეეხებოდა თეორიული და კლინიკური სწავლების ბალანსის გაუმჯობესებას, კლინიკური ინტეგრაციის გაძლიერებას, შეფასების სისტემის მოდიფიცირებასა და პირველი სასწავლო წლის სასწავლო დატვირთვის ოპტიმიზაციას. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციები გაიზიარა და მიმდინარეობს პროგრამის შესაბამისი მოდიფიცირება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განვითარების გეგმები ორიენტირებულია პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის შენარჩუნებასა და გაძლიერებაზე. დადებითად უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობის

პრაქტიკის გაფართოების განზრახვა, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომ განვითარებასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

დოკუმენტაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი მარეგულირებელი აქტებით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მოთხოვნებით, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლებითა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი. პროგრამების შემუშავებისას ასევე გათვალისწინებულია პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილება, შრომის ბაზრის მოთხოვნები, დამსაქმებელთა უკუკავშირი და საერთაშორისო კარგი პრაქტიკა.

მედიცინის (360 ECTS), სტომატოლოგიის (300 ECTS) და სამაგისტრო პროგრამების (120 ECTS) მოცულობა შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. ერთი კრედიტი შეადგენს 30 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ სამუშაოს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება დიფერენცირებულია სასწავლო კურსის სპეციფიკის მიხედვით: საბაზისო დისციპლინებში ჭარბობს დამოუკიდებელი მუშაობა, ხოლო კლინიკურ და პრაქტიკულ კომპონენტებში – საკონტაქტო სწავლება. მედიცინის პროგრამაში საკონტაქტო საათები შეადგენს 6035 საათს (56%), სტომატოლოგიის პროგრამაში – 58%-ს, ხოლო სამაგისტრო პროგრამებში – დაახლოებით 35%-ს, რაც შეესაბამება პროგრამების მიზნებსა და პროფესიულ სპეციფიკას.

პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, სასწავლო კომპონენტებთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან და შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებთან. მედიცინის პროგრამის შემთხვევაში გათვალისწინებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი და სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამაში – ევროპული სტომატოლოგიური განათლების კომპეტენციები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამა ეფუძნება ASPHER-ის კომპეტენციათა ჩარჩოს, ხოლო განათლების ადმინისტრირების პროგრამა – დარგობრივ მახასიათებელსა და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილებას. წარმოდგენილი სწავლის შედეგები არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი, ხოლო მათი შესაბამისობა პროგრამის კომპონენტებთან უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების რუკებით.

მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამები აგებულია ინტეგრირებული კურიკულუმის პრინციპზე, რომელიც მოიცავს ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპირალურ ინტეგრაციას. სასწავლო პროცესი ვითარდება მარტივიდან რთულისკენ და უზრუნველყოფს საბაზისო და კლინიკური კომპონენტების თანმიმდევრულ დაკავშირებას. პროგრამები ორიენტირებულია კლინიკური აზროვნების, პროფესიული და კომუნიკაციური უნარების, კვლევითი კომპეტენციებისა და დამოუკიდებელი სწავლების უნარის განვითარებაზე.

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კლინიკური და სიმულაციური სწავლება პროგრამების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სტუდენტები პრაქტიკულ გარემოში ერთვებიან სწავლების საწყისი ეტაპიდანვე, ხოლო კლინიკური კომპეტენციები ეტაპობრივად ვითარდება სიმულაციური სწავლების, კლინიკური ვიზიტების, როტაციების, პრაქტიკისა და OSCE-ის ფორმატის შეფასებების მეშვეობით. მედიცინის პროგრამაში მნიშვნელოვანი მოცულობა ეთმობა როგორც კლინიკურ გარემოში სწავლებას (TCE), ისე სიმულაციურ გარემოში სწავლებას (TSE), რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და პროფესიული უნარების თანმიმდევრულ განვითარებას.

კვლევითი კომპონენტი ორივე ერთსაფეხურიან პროგრამაში ინტეგრირებულია სწავლების ყველა ეტაპზე. სტუდენტები ეტაპობრივად ეუფლებიან კვლევის მეთოდოლოგიას, ბიოსტატისტიკას, აკადემიურ წერას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასა და სამეცნიერო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპებს. პროგრამები ითვალისწინებს კვლევითი ნაშრომის შესრულებასა და დაცვას, ასევე სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტისა და პარტნიორი ინსტიტუციების სამეცნიერო აქტივობებში.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია, როგორც ინტერდისციპლინარული პროგრამა, რომელიც აერთიანებს განათლების პოლიტიკის, მენეჯმენტის, ლიდერობის, ხარისხის უზრუნველყოფის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კვლევის კომპონენტებს. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯერული კომპეტენციების ინტეგრირებაზე, რაც პასუხობს როგორც ეროვნული ჯანდაცვის სისტემის, ისე საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე გამოწვევებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. ტრადიციულ სალექციო და სასემინარო ფორმატებთან ერთად გამოიყენება პრობლემაზე (PBL) და კლინიკურ შემთხვევებზე (CBL) დაფუძნებული სწავლება, პროექტული სწავლება, ჟურნალის კლუბი (Journal Club), სიმულაციები, როლური თამაშები, კვლევითი აქტივობები, Flipped Classroom-ის მოდელი და სხვა ინტერაქტიული მეთოდები. სასწავლო კურსების სილაბუსები განსაზღვრავს შესაბამის ლიტერატურასა და სასწავლო რესურსებს, ხოლო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზები.

წარმოდგენილი მასალებიდან ასევე იკვეთება, რომ პროგრამების განვითარება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. პროგრამების ფარგლებში სისტემატურად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელების უკუკავშირის, სტუდენტთა აკადემიური შედეგებისა და გარე შეფასებების ანალიზი, რომლის საფუძველზეც განხორციელებულია ცალკეული სასწავლო კურსების, საათობრივი დატვირთვის, არჩევითი კომპონენტების, სასწავლო ლიტერატურისა და კლინიკური პრაქტიკის დოკუმენტაციის განახლება. განხორციელებული ცვლილებები ძირითადად შეეხო პროგრამების სტრუქტურულ და შინაარსობრივ დახვეწას და არ გამოუწვევია პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილება.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს, რომ პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები ურთიერთშეთანხმებულია და უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას. ამასთან, პროგრამების შემდგომი განვითარება დაგეგმილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების, გარე შეფასებების, საკანონმდებლო ცვლილებების, საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი მარეგულირებელი აქტებით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მოთხოვნებით, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლებითა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი. პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებულია პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილება, შრომის ბაზრის მოთხოვნები, დამსაქმებელთა უკუკავშირი და საერთაშორისო კარგი პრაქტიკა.

მედიცინის (360 ECTS), სტომატოლოგიის (300 ECTS) და სამაგისტრო პროგრამების (120 ECTS) მოცულობა შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. ერთი კრედიტი შეადგენს 30 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ სამუშაოს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება დიფერენცირებულია სასწავლო კურსების სპეციფიკის შესაბამისად: საბაზისო დისციპლინებში ჭარბობს დამოუკიდებელი მუშაობა, ხოლო კლინიკურ და პრაქტიკულ კომპონენტებში – საკონტაქტო სწავლება. მედიცინის პროგრამაში საკონტაქტო საათები შეადგენს 6035 საათს (56%), სტომატოლოგიის პროგრამაში – 58%-ს, ხოლო სამაგისტრო პროგრამებში – დაახლოებით 35%-ს, რაც შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებსა და პროფესიულ სპეციფიკასთან.

პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, სასწავლო კომპონენტებთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან და შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებთან. მედიცინის პროგრამა ეფუძნება მედიცინის დარგობრივ მახასიათებელსა და სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებს, სტომატოლოგიის პროგრამა – ევროპული სტომატოლოგიური განათლების კომპეტენციებს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა – ASPHER-ის კომპეტენციათა ჩარჩოს, ხოლო განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა – დარგობრივ მახასიათებელსა და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილებას. წარმოდგენილი სწავლის შედეგები არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი, ხოლო მათი შესაბამისობა სასწავლო კომპონენტებთან უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების რუკებით.

მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამები აგებულია ინტეგრირებული კურიკულუმის პრინციპზე და მოიცავს ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპირალურ ინტეგრაციას.

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კლინიკური და სიმულაციური სწავლება პროგრამების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სტუდენტები პრაქტიკულ გარემოში ერთვებიან სწავლების საწყისი ეტაპიდანვე, ხოლო კლინიკური კომპეტენციების განვითარება ხორციელდება სიმულაციური სწავლების, კლინიკური ვიზიტების, როტაციების, პრაქტიკისა და OSCE-ის ფორმატის შეფასებების მეშვეობით. მედიცინის პროგრამაში მნიშვნელოვანი მოცულობა ეთმობა როგორც კლინიკურ გარემოში სწავლებას (TCE), ისე სიმულაციურ გარემოში სწავლებას (TSE), რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და პროფესიული უნარების თანმიმდევრულ განვითარებას.

კვლევითი კომპონენტი ორივე ერთსაფეხურიან პროგრამაში ინტეგრირებულია სწავლების ყველა ეტაპზე. სტუდენტები ეტაპობრივად ეუფლებიან კვლევის მეთოდოლოგიას, ბიოსტატისტიკას, აკადემიურ წერას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასა და სამეცნიერო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპებს. პროგრამები ითვალისწინებს კვლევითი ნაშრომის შესრულებასა და დაცვას, აგრეთვე სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტისა და პარტნიორი ინსტიტუციების სამეცნიერო აქტივობებში.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია, როგორც ინტერდისციპლინარული პროგრამა, რომელიც აერთიანებს განათლების პოლიტიკის, მენეჯმენტის, ლიდერობის, ხარისხის უზრუნველყოფის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კვლევის კომპონენტებს. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯერული კომპეტენციების ინტეგრირებაზე, რაც პასუხობს როგორც ეროვნული ჯანდაცვის სისტემის, ისე საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე გამოწვევებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. ტრადიციულ სალექციო და სასემინარო ფორმატებთან ერთად გამოიყენება პრობლემაზე (PBL) და კლინიკურ შემთხვევებზე (CBL) დაფუძნებული სწავლება, პროექტული სწავლება, Journal Club, სიმულაციები, როლური თამაშები, კვლევითი აქტივობები, Flipped Classroom-ის მოდელი და სხვა

ინტერაქტიული მეთოდები. სასწავლო კურსების სილაბუსები განსაზღვრავს შესაბამის ლიტერატურასა და სასწავლო რესურსებს, ხოლო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზები.

წარმოდგენილი მასალებით იკვეთება, რომ პროგრამების განვითარება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. სისტემატურად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელების უკუკავშირის, სტუდენტთა აკადემიური შედეგებისა და გარე შეფასებების ანალიზი, რომლის საფუძველზეც განახლებულია ცალკეული სასწავლო კურსები, საათობრივი დატვირთვა, არჩევითი კომპონენტები, სასწავლო ლიტერატურა და კლინიკური პრაქტიკის დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს, რომ პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები ურთიერთშეთანხმებულია და უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას. ამასთან, პროგრამების შემდგომი განვითარება დაგეგმილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების, გარე შეფასებების, საკანონმდებლო ცვლილებების, საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით.

3.3.1. სწავლის შედეგების შეფასება სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით

უნივერსიტეტში სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით დანერგილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების პრაქტიკა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება სტუდენტის განცხადების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინაციით, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით და მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ. გეგმა ითვალისწინებს სასწავლო პროცესის მოქნილ ფორმატში განხორციელებას, მათ შორის ონლაინ სწავლების შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველყოფასა და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას.

საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავდა ოჯახის წევრის გარდაცვალების, ქირურგიული ოპერაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, რაც მოიცავდა მიმდინარე შეფასებების აღდგენას, გამოცდების გადატანას, დამატებითი დროისა და საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდის შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

დაგეგმილია შეზღუდული სმენის მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს განვითარება, ხოლო გადაადგილების სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა უკვე უზრუნველყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-
- შეხვედრა და ინტერვიუები ინსტიტუციის წარმომადგენლებთან
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო
- საგანმანათლებლო პროგრამა

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- დამსაქმებელთა გამოკითხვები
- ინტერვიუები ინსტიტუციის წარმომადგენლებთან
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა;
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა;
- განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა.
- ინტერვიუები ინსტიტუციის წარმომადგენლებთან;
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა;
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა;
- განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა.
- დადგენილებები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესახებ;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების სტატისტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- გამოცდების ჩატარების წესი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- *რეკომენდაცია 1*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- *რჩევა 1*

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს *☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს* *☐ არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

4.1. პერსონალის მართვა

ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარების მიზნებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, შერჩევის, დანიშვნის, შეფასების, პროფესიული განვითარების, მოტივაციისა და ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმებს. აღნიშნული პოლიტიკა ქმნის ერთიან ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ეფექტიან ორგანიზებას და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტში დანერგილი ადამიანური რესურსების მართვის პროცედურები ძირითადად უზრუნველყოფს გამჭვირვალე, ობიექტურ და თანაბარ პირობებზე დაფუძნებულ მიდგომას პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცესში. ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება შესაბამისი წესებისა და წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში გამოყენებულია ღია კონკურსის მექანიზმი, რომელიც მოიცავს კანდიდატის ხედვის წარმოდგენასა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვას, ხოლო აკადემიური პერსონალის არჩევა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, ღია კონკურსის გზით.

აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურა მოიცავს კანდიდატთა დოკუმენტაციის შეფასებას, ინგლისური ენის კომპეტენციის შემოწმებას, იმიტირებული ლექციის ჩატარებასა და გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი ცოდნის, ასევე სწავლებისათვის აუცილებელი უნარების კომპლექსურ შეფასებას. კონკურსის პროცედურები საჯაროა, ხოლო ინფორმაცია ვაკანსიების, კონკურსის პირობებისა და საბოლოო შედეგების შესახებ ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცესი ასევე ეფუძნება ღია კონკურსის პრინციპებს, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში რეგულირდება შესაბამისი შიდა წესით.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება სამუშაო აღწერილობებს, პოზიციების ფუნქციურ სპეციფიკას და მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობებისათვის დადგენილი მოთხოვნები ითვალისწინებს აკადემიურ ხარისხს, სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილებას, ხოლო კლინიკური მიმართულების შემთხვევაში – შესაბამის პროფესიულ სერტიფიცირებასა და კლინიკურ გამოცდილებას. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო განათლების მიმართულებით, რადგან უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის შესაბამისობას როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ კომპეტენციებთან.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის ინსტიტუციურ ჩართულობას, უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და აკადემიური რესურსის მდგრად განვითარებას. აფილირებული პერსონალის მიმართ უნივერსიტეტი იღებს შესაბამის ვალდებულებებს სამეცნიერო

საქმიანობის მხარდაჭერის, პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და კვლევითი პროდუქტიულობის წახალისების მიმართულებით, ხოლო აფილირებული პერსონალი, თავის მხრივ, იღებს პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის აკადემიური მისიის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობაზე.

უნივერსიტეტში არსებული ადამიანური რესურსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები ადასტურებს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის არსებობას. ბაუში დასაქმებულია 274 თანამშრომელი, მათ შორის 67 აკადემიური, 160 მოწვეული და 47 ადმინისტრაციული პერსონალი. აკადემიური პერსონალის სტრუქტურა მოიცავს პროფესორებს, ასოცირებულ პროფესორებს, ასისტენტ-პროფესორებსა და ასისტენტებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დასაქმებულია უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალიც, რაც ხელს უწყობს მულტიკულტურული და ინტერნაციონალიზებული საგანმანათლებლო გარემოს განვითარებას. უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს უცხოელი პერსონალის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის გაფართოება.

პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტში დანერგილია საჭიროებების იდენტიფიცირებაზე დაფუძნებული მიდგომა. პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას უნივერსიტეტი ეყრდნობა პერსონალის შეფასების, თვითშეფასებისა და გამოკითხვის შედეგებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ხორციელდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების, კურიკულუმის დიზაინის, აკადემიური კეთილსინდისიერების, კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებისა და სამედიცინო განათლების თანამედროვე მიდგომების მიმართულებით. ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ღონისძიებები მორგებულია კონკრეტული პოზიციების საჭიროებებს და მოიცავს როგორც პროფესიულ, ისე ტრანსფერული უნარების გაძლიერებას.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტში არსებული პროფესიული განვითარების სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს პერსონალის კომპეტენციების გაძლიერებისა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამასთან, შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის, განსაკუთრებით კი კლინიკურ კომპონენტში მონაწილე სპეციალისტების, ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები. ექსპერტებთან ინტერვიუების პროცესში კლინიკურ გარემოში ჩართულ სპეციალისტებთან გამოიკვეთა, რომ ცალკეულ შემთხვევებში არსებობს ინგლისურენოვანი პროფესიული კომუნიკაციის ბარიერი, რაც შესაძლოა გარკვეულწილად აისახოს საერთაშორისო რესურსების, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის სრულფასოვან გამოყენებაზე. აღნიშნული მიმართულების გაძლიერება ხელს შეუწყობს როგორც სწავლების ინტერნაციონალიზაციის პროცესს, ისე კლინიკური სწავლების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის საქმიანობის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხორციელდება მიზნებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდოლოგიით, რაც გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული მიზნების შესრულების ხარისხის შეფასებას, თვითგანვითარების პოტენციალის ანალიზსა და მიღებული შედეგების საფუძველზე განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი შეფასების სისტემით, რომელშიც ჩართული არიან სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები და კოლეგები. შეფასების პროცესი მოიცავს სასწავლო საქმიანობის ხარისხს, პროგრამის განვითარებაში მონაწილეობას, სტუდენტთა უკუკავშირს, კვლევით აქტივობასა და აკადემიური საქმიანობის სხვა კომპონენტებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პერსონალის

საქმიანობის კომპლექსურ შეფასებას და ქმნის საფუძველს პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრისათვის.

პერსონალის მოტივაციისა და შენარჩუნების მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს წახალისებისა და სტიმულირების სხვადასხვა ფორმა, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობის შედეგებთან. უნივერსიტეტი იყენებს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ მექანიზმებს, მათ შორის პროფესიული განვითარების დაფინანსებას, კარიერული წინსვლის ხელშეწყობას, მიღწევების აღიარებასა და სხვა წამახალისებელ ღონისძიებებს.

ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროცედურები. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების გაცნობას უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან, ღირებულებებთან, რეგულაციებთან და სამუშაო პროცესებთან. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ახალი პერსონალის ეფექტიან ჩართვას ინსტიტუციურ გარემოში და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას.

მიღწეული შედეგების შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს ადამიანური რესურსების მართვის პროცესების შემდგომ განვითარებას, მათ შორის ახალი თანამშრომლებისათვის საორიენტაციო მასალის მომზადებას, პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწასა და მოწვეული პერსონალის განვითარების შესაძლებლობების გაფართოებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის მიმართულებით პერსონალის კომპეტენციების გაძლიერებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

4.2 აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც ეფუძნება პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს და მოიცავს სასწავლო, კვლევით და სხვა საქმიანობას. აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება სრული ან არასრული ფორმით და მოიცავს საკონტაქტო/სააუდიტორიო, არასაკონტაქტო/არასააუდიტორიო და საოფისე კომპონენტებს.

დატვირთვის წესით განსაზღვრულია A, B და C კატეგორიები. A კატეგორია წარმოადგენს აფილირებული აკადემიური პერსონალის სრულ დატვირთვას და მოიცავს სასწავლო, კვლევით და საოფისე საქმიანობას; B კატეგორია გულისხმობს აფილირებული პერსონალის არასრულ დატვირთვას, რომელიც ძირითადად მოიცავს სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საათებსა და კვლევით აქტივობებს; C კატეგორია წარმოადგენს არააფილირებული აკადემიური პერსონალის არასრულ დატვირთვას.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა ნაწილდება საკონტაქტო (34%), არასაკონტაქტო (33%) და საოფისე (33%) კომპონენტებად. კატეგორიის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიური წლის დაწყებამდე პერსონალის მოთხოვნის, საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინებისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. A კატეგორიის დატვირთვა აკადემიური თანამდებობის მიხედვით განისაზღვრება წლიური საკონტაქტო, არასაკონტაქტო და საოფისე საათების შესაბამისი მოცულობით, ხოლო B და C კატეგორიები განისაზღვრება დადგენილი წესის შესაბამისად.

საკონტაქტო დატვირთვის დაგეგმვისას პრიორიტეტი ენიჭება A კატეგორიის, აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს მოწვეულ პერსონალთან შედარებით. A კატეგორიის პერსონალის დატვირთვა ბაუში უნდა აღემატებოდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ ჯამურ დატვირთვას სულ მცირე ორჯერ, ხოლო B კატეგორიის შემთხვევაში — უნდა აღემატებოდეს მას.

აღნიშნული კონტროლი ხორციელდება QMS სისტემის მონაცემებისა და პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

არასაკონტაქტო დატვირთვა მოიცავს სამეცნიერო საქმიანობას, პროფესიულ განვითარებასა და ცოდნის გაზიარების აქტივობებს. აკადემიური პერსონალი აკადემიური წლის დაწყებამდე დეკანთან შეთანხმებით ადგენს არასააუდიტორიო აქტივობების გეგმას, სადაც სამეცნიერო კომპონენტი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 75%-ს და გათვალისწინებული უნდა იყოს სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება. საოფისე დატვირთვა მოიცავს პროგრამების განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილეობას, ადმინისტრაციულ ფუნქციებს, სტუდენტთა კონსულტირებას, მენტორობას, გამოცდების პროცესში ჩართულობასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობას.

ბაუში აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას. უნივერსიტეტი ახორციელებს დატვირთვის მონიტორინგს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში QMS სისტემისა და პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედარების გზით. აფილირებული პერსონალის ძირითადი დამსაქმებელია ბაუ, ხოლო სხვა უსდ-ში საქმიანობა დასაშვებია უნივერსიტეტთან შეთანხმებით, რაც ასახულია შრომით ხელშეკრულებებში.

სასწავლო პროცესის ეფექტიანი განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი საჭიროების შემთხვევაში იწვევს კვალიფიციურ პროფესიულ და აკადემიურ პერსონალს საათობრივი ანაზღაურების წესით. მოწვეული პერსონალის ანაზღაურების ტარიფი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

ინსტიტუცია განსაზღვრავს პერსონალთან დაკავშირებულ სამიზნე ნიშნულებს და ახორციელებს მათ წლიურ მონიტორინგს ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორების საშუალებით. მიღწეული შედეგების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიური კონკურსების რეგულარულ ჩატარებას, პერსონალის რაოდენობის ზრდას სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, მოწვეული პერსონალის რესურსის განვითარებას და კვალიფიციური კადრების მოზიდვას. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს მდგრადი აკადემიური გარემოს შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები ინსტიტუციის წარმომადგენლებთან
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალის არჩევის წესი;
- მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
- აფილირების წესი და პირობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- აფილირების წესი და პირობები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

• *რეკომენდაცია 1*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
• სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები, განსაკუთრებით კლინიკურ კომპონენტში ჩართული სპეციალისტებისთვის.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერიტეტს მკაფიოდ და გამჭვირვალედ აქვს შემუშავებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და კრედიტების აღიარების სისტემა. საქართველოს მოქალაქეთათვის უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება შიდა გასაუბრებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, დაწესებული შიდა კომპეტენციის ზღვრის გადალახვის პირობით. აღნიშნული ითვალისწინებს ინგლისურ ენაში 80%-იან, ხოლო არჩევით საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, მათემატიკა, ფიზიკა) მინიმუმ 25%-იან კომპეტენციის ზღვარს. უცხოელი აბიტურიენტებისთვის მოქმედებს B2 დონის სერტიფიკატის წარდგენის ან შიდა 100-ქულიანი ტესტირების გავლის ვალდებულება. საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობისა და სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, მობილობით გადასული სტუდენტებისათის მოქმედებს ECTS საკრედიტო სისტემაზე დაფუძნებული აღიარების წესი. უნივერსიტეტმა დანერგა დამატებითი მექანიზმი. კერძოდ, მობილობის მსურველები გადიან თეორიულ ტესტირებას, Body Interact პლატფორმის მეშვეობით კლინიკური აზროვნების შემოწმებას და OSCE-ის გამოცდას კლინიკურ უნარებში. სტუდენტთა სტატუსის შეჩერება გულისხმობს მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების დროებით შეჩერებას. ამისათვის სტუდენტმა ადამინისტრაციას უნდა მიმართოს განცხადებით. სტატუსის

შეჩერების მაქსიმალური ვადა 5 წელია. ბრძანების გამოცემამდე უნივერსიტეტი სტუდენტს აწვდის ინფორმაციას და პრობლემის აღმოსაფხვრელად დასაბუთებულ გონივრულ ვადას განუსაზღვრავს. შეჩერებული სტატუსის აღდგენა ხდება პირადი განცხადებით, შეჩერების მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ.

სტატუსის შეწყვეტის საფუძველზე ხდება მხარეთა შორის ხელშეკრულების უფლება-მოვალეობების საბოლოო გაუქმება. შეწყვეტის მიზეზებია: პირადი განცხადება, სწავლის დასრულება, მობილობა, შეჩერების 5-წლიანი ვადის ამოწურვა, ეთიკის კოდექსის მძიმე დარღვევა ან ერთი და იმავე კურსის ზედიზედ სამჯერ ჩაჭრა. ყველა შემთხვევაში უნივერსიტეტი იცავს სტუდენტის ინფორმირებულობის უფლებას

სტუდენტთა უფლებებისა და ეთიკის ნორმების დაცვას უზრუნველყოფს „სტუდენტური ეთიკის კოდექსი“ და სტუდენტური ომბუდსმენის ინსტიტუტი. ომბუდსმენი სისტემატურად შეისწავლის სტუდენტთა მდგომარეობას, ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს მას აკადემიურ საბჭოს. აღნიშნულ პროცესებში გარანტირებულია სტუდენტის ჩართულობა, მისი წინასწარი ინფორმირება, დარღვევის აღმოსაფხვრელად გონივრული ვადის მიცემა და განცხადების უკან გამოთხოვის უფლება.

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების მრავალფუნქციური სისტემა, რომელსაც მჭიდრო კომუნიკაცია აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურთან. ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისშივე, სტუდენტებს ემაგრებათ ინდივიდუალური ტუტორი. პირველადი შეხვედრების ფარგლებში, ტუტორები სტუდენტებს აცნობენ შეფასების სისტემას, ეხმარებიან აკადემიური პორტფოლიოს ეფექტურად მართვაში და უწევენ ამომწურავ კონსულტაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ ორგანიზაციულ თუ აკადემიურ საკითხზე.

სტუდენტური სერვისები მოიცავს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება სრული ანონიმურობის დაცვით, დისტანციურ რეჟიმში. ასევე მნიშვნელოვანია კარიერული კონსულტირება CV-ისა და სამოტივაციო წერილის ვორქშოფები, ვაკანსიების გავრცელება, მოხალისეობრივი სტაჟირებები და სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა. მოქმედებს მაღალი GPA-ის მქონე სტუდენტთა სტიპენდიები (10%-დან 100%-მდე), 40%-იანი საგრანტო კონკურსი აბიტურიენტებისთვის და სწავლის საფასურის ინდივიდუალური გრაფიკით გადავადების მოქნილი სისტემა. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა სრულადაა მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს.

სტუდენტურ არაფორმალურ ცხოვრებას წარმართავს სტუდენტური თვითმმართველობა და სტუდენტური კლუბები (სპორტული, მუსიკის, ხელოვნების, წიგნის).მათი ორგანიზებით ტარდება ყოველწლიური ინტერნაციონალური ღონისძიებები, კულტურული ღონისძიებები, სპორტული კვირეულები, ინტელექტუალური თამაშები .ღია კარის დღეები, საქველმოქმედო კამპანიები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.აკადემიური მხარდაჭერის გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს USMLE-ის (აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის) უფასო მოსამზადებელი კურსი.

ამასთან, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სტუდენტთა მაღალ ჩართულობას სემესტრული გამოკითხვების სახით (მონაწილეობს 50-80%), მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება კომუნიკაცია სტუდენტებთან, რეალური პრობლემის გამოვლენა, მუდმივ მონიტორინგზე აყვანა, პრობლემის გამოსწორება და სტუდენტის კმაყოფილების გადამოწმება.

სტუდენტთა მომსახურების სამსახური საერთაშორისო სტუდენტებს აქტიურად უწევს ასისტენტირებას საქართველოში შემოსვლისა და ადაპტაციის ეტაპზე, რაც მოიცავს საცხოვრებლის შერჩევაში დახმარებას, აგრეთვე ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მიღების პროცესში მხარდაჭერას. კარიერული

მხარდაჭერის მიზნით, სამსახური უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხებზე ავრცელებს ინფორმაციას ვაკანსიებთან, კონფერენციებთან, მოხალისეობრივ შესაძლებლობებთან, სტაჟირების პროგრამებთან დაკავშირებით როგორც სტუდენტებში, ასევე კომუნიკაცია უზრუნველყოფილია კურსდამთავრებულებთანაც.

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა უნივერსიტეტის შიდა კვლევითი გრანტის გაცემის მნიშვნელოვანი პირობაა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ დაფინანსებული კვლევითი პროექტების განხორციელების, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ეტაპებზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტუდენტები თავადაც მუშაობენ კვლევით საკითხებზე, რასაც მოწმობს მათი მაღალი ჩართულება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო კვლევით კონფერენციებში. უნივერსიტეტი სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს სტუდენტთა მონაწილეობას ზემოხსენებულ კონფერენციებში. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საერთაშორისო აკადემიური მობილობა და კლინიკური პრაქტიკის შესაძლებლობა. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს პარტნიორული მემორანდუმები ევროპის, ამერიკისა და აზიის წამყვან უნივერსიტეტებთან,კერძოდ, სტუდენტები Erasmus+ პროგრამითა და შიდა დაფინანსებით გადიან კლინიკურ როტაციებსა და სემესტრულ სწავლებას ჩეხეთში (ვესტ-ბოჰემიისა და ოსტრავის უნივერსიტეტების აფილირებულ კლინიკებში), იტალიაში (ფლორენციისა და საპიენცას უნივერსიტეტებში), ფინეთში (აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტში), ესპანეთში (მურსიისა და მალაგის უნივერსიტეტებში), რუმინეთსა და ლიეტუვაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შორეული აღმოსავლეთისა და აშშ-ის მიმართულება: სტუდენტთა კლინიკური უნარების ამაღლება სამხრეთ კორეის ინჰას უნივერსიტეტის ჰოსპიტალში და ჩიკაგოს AMopportunities-ის პლატფორმის მეშვეობით აშშ-ში კლინიკური პრაქტიკისა და სარეკომენდაციო წერილების მოპოვების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- განაცხადის ფორმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
- ინტერვიუ აქტიურ სტუდენტებთან ;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან ;
- ინტერვიუ სტუდენტთა მხარდაჭერისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- აკადემიური კალენდარი;
- კურსდამთავრებულებთა გამოკითხვის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- სასწავლო კურსების შეფასება;
- სასწავლო პერსონალის შეფასება;
- სტუდენტების მიერ სერვისების შეფასება;
- დებულება სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ;
- კარიერული მხარდაჭერის სერვისები;
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;
- სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- BAU დებულება;
- 25-26 წლის სამეცნიერო ნაშრომების სია;
- ბაუს ვებგვერდი www.bauinternational.edu.ge

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია* • *რეკომენდაცია 1*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* • *რჩევა 1*

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის განვითარება ეფუძნება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიას“, რომელიც მოხსენიებულია თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა პირველად და დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ დევს და უნივერსიტეტის ვებ გვერდზეც არ არის ხელმისაწვდომი. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კვლევის განვითარების ძირითად მიმართულებებს, მიზნებსა და ამოცანებს. სტრატეგია ორიენტირებულია კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაზე, კვლევითი პოტენციალის გაძლიერებაზე, კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე, აკადემიური პერსონალის კვლევითი შესაძლებლობების განვითარებაზე, კვლევის შედეგების გამოყენებადობისა და კომერციალიზაციის პოტენციალის გაზრდაზე, ასევე კვლევის ეთიკისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე. მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული დოკუმენტი იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი საქმიანობის განვითარების ხედვა და განსაზღვრული აქვს კომპლექსური კვლევითი აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიმართულებებთან, განსაკუთრებით მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ბიომედიცინისა და განათლების ადმინისტრირების სფეროებში.

კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები შეესაბამება უნივერსიტეტის აკადემიური პროფილის ძირითად მიმართულებებს და მოიცავს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით კვლევებს.
უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევითი პროექტები არის ძირითადად გამოყენებითი ხასიათის. წარმოდგენილი კვლევითი პროექტების ნაწილი დაკავშირებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის აქტუალურ გამოწვევებთან, ბიომედიცინის ინოვაციურ მიდგომებთან, სამედიცინო განათლების განვითარებასთან და კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებად საკითხებთან. აღნიშნული მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს ისეთ კვლევით საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ცოდნის შექმნას და პრაქტიკული გადაწყვეტილებების განვითარებას.
უნივერსიტეტში დანერგილია კვლევის მხარდაჭერისა და დაფინანსების მექანიზმები. განახლებული სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი განსაზღვრავს კვლევითი პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობებს. დადებითად ფასდება უნივერსიტეტის მიერ კვლევითი პროექტების დაფინანსების მრავალფეროვანი მოდელის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს როგორც საუნივერსიტეტო გრანტებს, ასევე გარე დონორებთან თანამშრომლობასა და თანადაფინანსების შესაძლებლობას.

კვლევის დაფინანსების პროცედურები არის გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც დადასტურდა ლექტორებთან ინტერვიუების დროს. საგრანტო პროექტების შეფასება ხორციელდება დამოუკიდებელი საგრანტო კომისიის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტთან კავშირის არმქონე შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტებით. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს ორმაგი ბრმას შეფასების (double blind review) პრინციპის გამოყენება, შეფასების კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრას, შეფასების რუბრიკის არსებობას და აპელაციის მექანიზმის უზრუნველყოფა. აღნიშნული ხელს უწყობს კვლევის დაფინანსების პროცესის ობიექტურობასა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას.
უნივერსიტეტში ასევე განვითარებულია კვლევის ეთიკის უზრუნველყოფის მექანიზმები. განახლებული კვლევის ეთიკის დებულება და კვლევის ეთიკის კომიტეტის ფუნქციონირება ქმნის საფუძველს ადამიანებზე ჩატარებული კვლევების საერთაშორისო ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეთიკის კომიტეტის ფუნქციები მოიცავს კვლევის რისკებისა და სარგებლის შეფასებას, მონაწილეთა უფლებების დაცვას, ინფორმირებული თანხმობის პროცესის შეფასებას, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას და კვლევის ეთიკური მისაღებობის განსაზღვრას. აღნიშნული მექანიზმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სამედიცინო მიმართულებების გათვალისწინებით.
კვლევის შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში დასტურდება როგორც აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობებით, ასევე სტუდენტთა კვლევაში ჩართულობის მექანიზმებით. უნივერსიტეტში განხორციელებულია სტუდენტური კვლევითი პროექტები, მათ შორის სამედიცინო მიმართულებით, სადაც სტუდენტები მუშაობენ აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით. 2023 წლიდან განხორციელდა სტუდენტების ჩართულობით 12 კვლევითი ნაშრომი და 22 რეფერატი. მიმდინარედ კი დაგეგმილია ახალი კვლევითი პროექტები სხვადასხვა აქტუალურ მიმართულებაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტებში კვლევითი კომპეტენციების განვითარებას და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებას.
უნივერსიტეტის შენობაში ფუნქციონირებს სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და გამოიყენება როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი მიზნებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ლაბორატორიული რესურსი გამოიყენება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის, არამედ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად.

აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტმა განავითარა დატვირთვის სისტემა, რომელშიც სამეცნიერო საქმიანობა ინტეგრირებულია აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვაში. განსაზღვრულია კვლევითი აქტივობების შესაბამისი საათობრივი

დატვირთვა, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული საგრანტო პროექტების მომზადებისთვის, მაღალი ხარისხის სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებისთვის, კონფერენციებში მონაწილეობისა და სტუდენტური კვლევების ხელმძღვანელობისთვის. აღნიშნული მიდგომა ქმნის მოტივაციის მექანიზმს აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის გასაზრდელად.
კვლევითი საქმიანობის შედეგები ასევე აისახება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობაში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის სამეცნიერო პუბლიკაციები მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და განათლების მიმართულებებით. ასევე აღსანიშნავია Q1 და Q2 კვარტილის ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რაც მიუთითებს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო ხარისხის განვითარების მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე.
უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასებისას, განსაკუთრებით სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის კონტექსტში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტური კონტინგენტის ზრდა მნიშვნელოვნად გაზრდის მოთხოვნას როგორც კვლევით ინფრასტრუქტურაზე, ისე აკადემიური პერსონალის კვლევით შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ლექტორებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები.

უნივერსიტეტის მასშტაბისა და კვლევითი აქტივობების ზრდის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კვლევითი საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება, მათ შორის კვლევის მართვის, საერთაშორისო საგრანტო შესაძლებლობების მოძიების, პროექტების ადმინისტრირებისა და კვლევითი შედეგების მონიტორინგის მიმართულებით სპეციალიზებული ფუნქციის/სტრუქტურული ერთეულის განვითარება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, რათა კვლევითი საქმიანობის გაფართოება განხორციელდეს ორგანიზაციულად მდგრადი და ეფექტიანი მმართველობის პირობებში.
საერთო შეფასებით, უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი საქმიანობის განვითარებისათვის ჩამოყალიბებული დაფინანსების მექანიზმები, კვლევის ეთიკის უზრუნველყოფის სისტემა, კვლევითი ინფრასტრუქტურა და აკადემიური პერსონალის კვლევის მხარდამჭერი პრაქტიკა. უნივერსიტეტი ახორციელებს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით კვლევებს, რომელთა შედეგები ინტეგრირდება სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების განვითარებას. არსებული კვლევითი აქტივობების მოცულობისა და ხარისხის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ქმნის საფუძველს გაზრდილი სტუდენტური კონტინგენტის მხარდასაჭერად, თუმცა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პირობებში მნიშვნელოვანია კვლევითი რესურსების მდგრადობის, ინდუსტრიასთან თანამშრომლობისა და კვლევის ადმინისტრაციული მართვის შემდგომი გაძლიერება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი.
- დაფინანსებული საგრანტო პროექტები.
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ანგარიში.
- კვლევითი პროექტების შეფასების შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- *რეკომენდაცია 1*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
• სასურველია რომ სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
7.3 საინფორმაციო რესურსი
7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ აკმაყოფილებს ☒ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
7.1 მატერიალური რესურსები **რაოდენობრივი ანალიზი** **სააუდიტორიო რესურსების ანალიზი** უნივერსიტეტს ამჟამად გააჩნია ხუთი **სალექციო აუდიტორია**, კერძოდ OB დარბაზი და NB09, NB12, NB13, NB17 აუდიტორიები, რომლებიც დაკომპლექტებულია შესაბამისი აუდიო-ვიზუალური ტექნიკით და ავეჯით. ეს აუდიტორიები მუშაობენ კვირაში 84 აკადემიური საათის განმავლობაში, რაც მოიცავს ექვს სამუშაო დღეს (ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით) და დღის განმავლობაში თოთხმეტ შესვლას. აკადემიური წლის განმავლობაში ეს აუდიტორიები ფუნქციონირებს 36 სასწავლო კვირის მანძილზე, რაც არ მოიცავს საგამოცდო კვირებსა და არდადეგებს. კალკულაციის მეთოდოლოგია ეფუძნება სივრცის ტევადობის, დროის რესურსისა და ჯგუფის ზომის ნამრავლს, გაყოფილს საჭირო საათების რაოდენობაზე. კონკრეტულად, ხუთი აუდიტორიის ნამრავლი 84 საათზე კვირაში, 36 კვირაზე წელიწადში და 120 სტუდენტზე (რაც არის მაქსიმალური ჯგუფის ზომა ლექციისთვის), გაყოფილი 1,749 საათზე (რაც წარმოადგენს მედიცინის ხუთწლიან პროგრამაში ლექციების ჯამურ რაოდენობას), გვაძლევს 1,037 სტუდენტის ტევადობას. ეს რიცხვი ნიშნავს, რომ არსებული სალექციო რესურსით უნივერსიტეტს შეუძლია მაქსიმუმ **1037** მედიცინის სტუდენტის სრული აკადემიური წლის განმავლობაში სწავლება. თუმცა უსდ გააჩნია ორი სარეზერვო აუდიტორია ქირურგიის ეროვნულ ცენტრში (NSC01, NSC02), რომელთა ტევადობა დაახლოებით 50 სტუდენტია თითოეულში, ეს ორი აუდიტორია ცალკე გამოთვლილი იძლევა დამატებით 138 სტუდენტს: 2×84×36×40/1749 ≈ 138. ორივე რესურსის ჯამი — 1037+138 — გვაძლევს 1175 სტუდენტს. **სტომატოლოგიის პროგრამის** სალექციო რესურსი შეფასება იძლევა შემდეგ სურათს: უნივერსიტეტს გააჩნია ორი სპეციალიზებული სალექციო აუდიტორია სტომატოლოგიური განათლებისთვის, კერძოდ OB5 და OB6 აუდიტორიები. სტომატოლოგიის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც უფრო მცირემასშტაბიანია და მოითხოვს უფრო პირდაპირ სასწავლო გარემოს, ლექციაზე მაქსიმალური ჯგუფის ზომა შეზღუდულია 25 სტუდენტით. ანალოგიური კალკულაციის გამოყენებით, ორი

აუდიტორიის ნამრავლი 84 საათზე, 36 კვირაზე და 25 სტუდენტზე, გაყოფილი 1,047 საათზე (რაც წარმოადგენს სტომატოლოგიის სპეციფიკურ ლექციებს, გამოკლებული პირველი კურსის საერთო ლექციები მედიცინასთან), გვაძლევს **144** სტუდენტის ტევადობას. თუმცა, უნივერსიტეტი სასწავლო რესურსების მართვისას იყენებს **ინტეგრირებული სწავლების მოდელს** რესურსების ოპტიმიზაციისთვის. კერძოდ, ეს გულისხმობს, რომ სტომატოლოგიის პროგრამის პირველი კურსის საბაზისო საგნები შინაარსობრივად იდენტურია მედიცინის პროგრამის საგნებისა, რის გამოც ამ სასწავლო კომპონენტში (401 საათის მოცულობით) ორივე პროგრამის სტუდენტები გაერთიანებულნი არიან ერთ ნაკადში. იმის ნაცვლად, რომ უნივერსიტეტმა გამოყოს დამატებითი აუდიტორია და ლექტორი სტომატოლოგებისთვის, ისინი ესწრებიან მედიცინის პროგრამისთვის უკვე ჩანიშნულ ლექციებს. შესაბამისად, ლოგისტიკურ გათვლებში ეს საათები უკვე ასახულია მედიცინის პროგრამის დატვირთვაში, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამის ჯამური საათებიდან (1448) გამოკლებულია, რათა არ მოხდეს ერთი და იმავე აუდიტორიული დროისა და სივრცის ხელოვნური გაორმაგება. ეს მიდგომა უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, ეფექტურად მართოს აუდიტორიული ფონდი და აკადემიური პერსონალი.

ამგვარად, სალექციო აუდიტორიების დატვირთვის პოტენციალი მთლიანობაში შეადგენს 1,175+144=1,319 სტუდენტს.

მედიცინის პროგრამისთვის გამოიყენება თორმეტი **სასემინარო აუდიტორია,** რომლებიც განაწილებულია ორ შენობაში. პირველ შენობაში განთავსებულია ხუთი აუდიტორია (OB1, OB2, OB3, OB4), ხოლო მეორე შენობაში განთავსებულია რვა აუდიტორია (NB1, NB8, NB7, NB10, NB14, NB15, NB16, NB18). ასევე არსებობს ერთი სტომატოლოგიური სასემინარო აუდიტორია (OB8), რომელიც გამოყოფილია სპეციფიკურად სტომატოლოგიის პროგრამისთვის. ამიტომ, მედიცინის პროგრამისთვის ხელმისაწვდომია თორმეტი სასემინარო აუდიტორია. სასემინარო მეცადინეობებზე ჯგუფის მაქსიმალური ზომა შეადგენს 30 სტუდენტს, რაც არის სტანდარტი ინტერაქტიული სწავლებისთვის, სადაც სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ დისკუსიებში და პრაქტიკულ სავარჯიშოებში. თორმეტი აუდიტორიის ნამრავლი 84 საათზე, 36 კვირაზე და 30 სტუდენტზე, გაყოფილი 958 საათზე (რაც წარმოადგენს მედიცინის პროგრამაში სემინარების ჯამურ რაოდენობას), გვაძლევს 1,236 სტუდენტის ტევადობას. ეს რიცხვი ძალიან ახლოსაა გეგმურ მოთხოვნასთან 1,250 სტუდენტი, მაგრამ მცირედით ჩამორჩება.
კონკრეტულად, სასემინარო აუდიტორიების დეფიციტი შეადგენს მხოლოდ 14 სტუდენტს, რაც არის დაახლოებით ერთი პროცენტი. დატვირთვა იქნება 101 პროცენტი, რაც ნიშნავს, რომ რესურსი იმყოფება კრიტიკულ ზღვარზე. ამ მცირე დეფიციტის დაფარვა შესაძლებელია რამდენიმე გზით: გრაფიკის უფრო ოპტიმალური განაწილებით, სარეზერვო სივრცეების (როგორიცაა პარტნიორ კლინიკებში არსებული აუდიტორიები) ეპიზოდური ჩართვით. ამიტომ, სასემინარო რესურსი არ წარმოადგენს აბსოლუტურ ბარიერს, არამედ მოითხოვს საგულდაგულო დაგეგმვას და მონიტორინგს.

სამაგისტრო პროგრამებისთვის (მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და განათლების ადმინისტრირება) აუდიტორიების შეფასება არ ეყრდნობა ფორმულურ კალკულაციას, რომელიც გამოიყენება ერთსაფეხურიან პროგრამებში (ტევადობა × საათი კვირაში × სასწავლო კვირა / საჭირო საათები). ამის ნაცვლად გამოიყენება დროზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ეყრდნობა ორ ძირითად ფაქტორს: სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საღამოს საათებში, როცა ძირითადი აუდიტორიები თავისუფალია დღის განმავლობაში მიმდინარე მედიცინისა და სტომატოლოგიის მეცადინეობებისგან, ხოლო მისაღები კონტინგენტი წინასწარ არის განსაზღვრული — 1+1 ჯგუფის მოცულობით.
დოკუმენტის მიხედვით, არსებული რესურსით უზრუნველყოფილია 2 ჯგუფის განთავსება საღამოს საათებში, ხოლო 2027 წლიდან ეს მოცულობა იზრდება 4 ჯგუფამდე. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამებზე გადამწყვეტია არა აუდიტორიის ფართობი ან ტევადობა, არამედ საღამოს დროითი სლოტების ხელმისაწვდომობა და მიღების გეგმური მოცულობა.

ლაბორატორიული სწავლების სივრცეების პარამეტრი

მეთოდოლოგიის მიხედვით ლაბორატიური სწავლების სივრცეები წარმოადგენს ერთ-ერთ პარამეტრს სტუდენტთ ზღვრული ოდენობის გამოსათვლელად.

ლაბორატორიული სწავლება მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებზე მხოლოდ I და II კურსებზეა გათვალისწინებული და საერთო მოცულობით 164 საათს შეადგენს, შესაბამისად ეს კალკულაცია ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს არა მთელი პროგრამისთვის, არამედ კონკრეტულად ორივე პროგრამის I-II კურსის სტუდენტებისთვის ერთობლივად. ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის გამოყოფილია სულ 6 ლაბორატორია — 2 ლაბორატორია უნივერსიტეტის I შენობაში, II სართულზე, და 4 ლაბორატორია II შენობაში, I სართულზე.

გამოთვლისას გამოყენებულია შემდეგი პარამეტრები: ლაბორატორიების რაოდენობა 6, ერთი ლაბორატორიის კვირეული დატვირთვის მაჩვენებელი 84 საათი (გამომდინარეობს დღეში 14 სააუდიტორიო შესვლიდან, კვირაში 6 სამუშაო დღეზე გათვლილი), აკადემიური წლის სასწავლო კვირების რაოდენობა 36, ერთ ლაბორატორიულ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა 15, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სწავლების წლიური მოცულობა 164 საათი.

გამოთვლის ლოგიკა ასეთია: ლაბორატორიების რაოდენობა მრავლდება კვირეულ დატვირთვაზე, შემდეგ სასწავლო კვირების რაოდენობაზე და ჯგუფის ზომაზე, ხოლო მიღებული ნამრავლი იყოფა პროგრამით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ საათებზე: $6 \times 84 \times 36 \times 15 \div 164 \approx 1659$.

შედეგად, არსებული ლაბორატორიული სივრცე, ანუ 6 ოთახი ორივე კორპუსში ჯამურად, საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამების I და II კურსების ჯამურად 1659 სტუდენტამდე ლაბორატორიული მეცადინეობა, პროგრამის მიერ დადგენილი 164-საათიანი წლიური მოცულობის ფარგლებში.

საგამოცდო ცენტრის რესურსული პოტენციალის შეფასება

ამ პარამეტრით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გამოითვლება უნივერსიტეტის ორივე პროგრამისთვის, მედიცინისა და სტომატოლოგიისთვის, ერთობლივად. გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება საგამოცდო ცენტრის ტევადობა, კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა, გამოცდის საშუალო ხანგრძლივობა და საგამოცდო სესიის პერიოდი, ხოლო წესის თანახმად, ცენტრის ტევადობის ნამრავლი მუშაობის საათებსა და საგამოცდო კვირების რაოდენობაზე უნდა აღემატებოდეს ან ტოლი იყოს სტუდენტთა გეგმური რაოდენობის ნამრავლს გამოცდების საშუალო რაოდენობასა და მათ ხანგრძლივობაზე.
დოკუმენტში მითითებული რაოდენობრივი მახასიათებლებია: საგამოცდო ცენტრში კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ადგილების რაოდენობა, ცენტრის კვირეული სამუშაო ხანგრძლივობა 48 საათი, რაც გამომდინარეობს 2 სრული განაკვეთის მუშაობიდან საგამოცდო კვირაში, საგამოცდო პროცესის ხანგრძლივობა 3 კვირა, სტუდენტთა გეგმური ზღვრული რაოდენობა 1400, სემესტრში სასწავლო საგნების საშუალო რაოდენობა 7 კურსი და ერთი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 2 აკადემიური საათი.
გამოთვლის ლოგიკა ასეთია: მარცხენა მხარეს მრავლდება ცენტრის ტევადობა, კვირეული სამუშაო საათები და საგამოცდო კვირების რაოდენობა, რაც იძლევა ცენტრის მთლიან პოტენციალს, ხოლო მარჯვენა მხარეს მრავლდება სტუდენტთა რაოდენობა, სემესტრში საგანთა საშუალო რაოდენობა და გამოცდის ხანგრძლივობა, რაც იძლევა რეალურ საჭიროებას. დოკუმენტის მიხედვით, მარცხენა მხარის ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 23,720-ს, ხოლო მარჯვენა მხარის, ანუ საჭირო რესურსის, მაჩვენებელი შეადგენს 19,600-ს ($1400 \times 7 \times 2 = 19{,}600$).
რადგან 23,720 აღემატება 19,600-ს, დოკუმენტის დასკვნით, საგამოცდო ცენტრის რესურსი საკმარისია დასახული 1400 სტუდენტის გეგმური ზღვრული რაოდენობის მომსახურებისთვის, ანუ ეს რესურსიც, ისევე როგორც ლაბორატორიული და სააუდიტორიო რესურსები, არ წარმოადგენს პროგრამის მასშტაბირების შემზღუდველ ფაქტორს.

კლინიკური რესურსების ანალიზი

უსდ თანამშრომლობს ხუთ კლინიკურ დაწესებულებასთან: ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან (ბაუ), სამედიცინო ცენტრ „მედინასთან“, ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან, საზღვაო სამედიცინო სერვისთან და იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ჰოსპიტალთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა და უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ გამოავლინა, რომ ყველა ხუთივე დაწესებულებაში სტუდენტთა კლინიკური მომზადება ერთიანი პრინციპით ხორციელდება - თითოეულ ჯგუფში დასაშვები სტუდენტების ზღვრული რაოდენობა ყველგან თანაბრად შეზღუდულია 8 პირით.
რესურსის მოცულობის მიხედვით ყველაზე მასშტაბურია ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, სადაც 71 სხვადასხვა კლინიკურ პოზიციაზე ჯამურად 568 სტუდენტის განთავსებაა შესაძლებელი; გასაუბრებაზე დამატებით აღინიშნა, რომ რეალურად ამაზე მეტი სტუდენტის მიღების პოტენციალიც არსებობს. მას მოსდევს „მედინა“, რომელიც 33 მიმართულებით 264 სტუდენტს იღებს და განსაკუთრებით მეან-გინეკოლოგიისა და პედიატრიის მიმართულებებზეა ორიენტირებული. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო 28 პოზიციით 224 სტუდენტის, ხოლო საზღვაო სამედიცინო სერვისი 18 მიმართულებით 144 სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს.
იაშვილის სახელობის ჰოსპიტალს პედიატრიის ოთხი ქვედანაყოფის მიხედვით, სადაც თითოეულს აქვს 8-სტუდენტიანი ჯგუფური ტევადობა შეუძლია მიიღოს 24 სტუდენტი. ხუთივე დაწესებულების მონაცემების ერთობლივმა ანალიზმა აჩვენა, რომ საერთო კლინიკური ბაზა მოიცავს 150-ზე მეტ პასუხისმგებელ პირს ან მიმართულებას, რაც ჯამურად 1,200-ზე მეტი სტუდენტის ერთდროულ კლინიკურ ჩართვას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტის გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა კონტინგენტის ზრდას ამჟამინდელი 980 სტუდენტიდან 1,400 სტუდენტამდე, რაც 420 სტუდენტის დამატებას ნიშნავს. აღნიშნული 1,400 სტუდენტი მოიცავს ოთხ საგანმანათლებლო პროგრამას: მედიცინის პროგრამას — 1,250 სტუდენტით, ხოლო დანარჩენს — სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამასა და ორ სამაგისტრო პროგრამას — ჯამში 150 სტუდენტით. ჯამურად, ეს შეადგენს 1,400 სტუდენტს.

ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ბიბლიოთეკის, საგამოცდო ცენტრისა და აკადემიური პერსონალის საკონტაქტო საათების რესურსი უზრუნველყოფს 1,400 სტუდენტის მომსახურებას. თუმცა, სალექციო აუდიტორიები წარმოადგენს შეზღუდვას, სასემინარო აუდიტორიები და აფილირებული პერსონალის რაოდენობა კი იმყოფება ზღვრულ მდგომარეობაში და მოითხოვს ყურადღებას.

ამგვარად, არსებული რესურსებით, უნივერსიტეტის რეალისტური ტევადობა შეადგენს დაახლოებით 1200 სტუდენტს მედიცინის პროგრამაზე, პლუს 80-100 სამაგისტრო პროგრამებზე, რაც ჯამში შეადგენს დაახლოებით 1280-1300 სტუდენტს. 1,400 სტუდენტამდე გასაზრდელად აუცილებელია უსდ-მ დაამატოს რამდენიმე სალექციო აუდიტორია მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ამ მხრივ უნივერსიტეტის მენეჯმენტმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ინფრასტრუქტურული გაფართოების გეგმა.

თვისებრივი ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილია შენობის აზომვითი ნახაზი, რომელშიც ასახულია შენობა-ნაგებობის ძირითადი მახასიათებლები. შენობა 3 ან 4 სართულიანია (დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში მითითებულია როგორც 3, ისე 4 სართული — სავარაუდოდ, სხვაობა განპირობებულია მიწისპირა სართულის ჩათვლა-არჩათვლით), ხოლო მისი მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 11.59-დან 12.90 მეტრამდე.

შენობის ფუნქციური განაწილება შემდეგნაირია: პირველ, მიწისპირა სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის ოფისები, საგამოცდო ოთახი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, სასადილო და სამზარეულო; მე-2 სართულზე — აუდიტორიები, ლაბორატორიები და საკონფერენციო დარბაზი; მე-3 სართულზე — აუდიტორიები, შეხვედრების ოთახი და ადმინისტრაციის ოფისები. ცალკე გათვალისწინებულია პარკინგის ზონა 35 ავტოსადგომზე.
ტექნიკურ და უსაფრთხოების პარამეტრებთან დაკავშირებით, დადგენილია შემდეგი კოეფიციენტები: კ1 — 0.5 (საპროექტო მაჩვენებელი 0.1), კ2 — 1.8 (საპროექტო მაჩვენებელი 0.4) და კ3 — 0.1. საექსპერტო დასკვნით დასტურდება პროექტის შესაბამისობა საქართველოს მთავრობის №41 დადგენილებასთან „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" შესახებ. შენობა სრულად აღიჭურვება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით და გასასვლელად გამოყენებული იქნება 3 გზა-კიბე, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზები და ლიფტები.
გეოლოგიური და კლიმატური პირობების თვალსაზრისით, სამშენებლო მოედანი მდებარეობს საშუალო თბილი და ტენიანი კლიმატის ზონაში, ხოლო რელიეფი აკუმულაციური ტიპისაა და დახრილია სანაპიროსკენ, რაც გამორიცხავს ტერიტორიის დატბორვას ინტენსიური ნალექების პირობებში.
დოკუმენტი ასევე მოიცავს დეტალურ საკადასტრო გეგმებს, ნახაზებსა და შენობის ექსპლუატაციისთვის საჭირო ტექნიკურ ცხრილებს.

უძრავ ნივთებზე მართლზომიერი მფლობელობის ნაწილში საჯარო რეესტრიდან ამონაწერი ადასტურებს რამდენიმე რეგისტრირებულ იჯარის ხელშეკრულებას (მაგ. 2019 წლის ხელშეკრულება 3027 კვ.მ ფართზე 5 წლის ვადით, 2024 წლის ხელშეკრულება სახურავის ფართზე 5 წლის ვადით), თითოეული სათანადოდ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

BAU-ს გაფორმებული აქვს უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება (დადებული 01/01/2024, ბათუმი), რომელიც ფარავს 5-წლიან პერიოდს 2024-2029 წლის 1 იანვრამდე. საიჯარო ობიექტია უნივერსიტეტის შენობა ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, ბათუმში (საკადასტრო კოდი 05.35.23.034) — 46 802 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 13 277.63 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რომლის გამოყენება შესაძლებელია სამედიცინო ან საგანმანათლებლო (საუნივერსიტეტო) დანიშნულებით.

შენობის ვიზუალური დათვალიერებისა და ტექნიკური აზომვის ნახაზის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ უსდ-ს ინფრასტრუქტურაში ყველა კანონმდებლობით მოთხოვნილი ფართი წარმოდგენილია. მათ შორის შესასვლელი ზონა, დასასვენებელი სივრცეები, სალექციო აუდიტორიები, ადმინისტრაციული ოთახები, ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი ადგილები, სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, პროფილური ლაბორატორია, სასწავლო კაბინეტები და საარქივო სივრცე.
მოძრავი და უძრავი ქონების შესაბამისობის თვალსაზრისით, უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის (ბიზნესუწყვეტობის) გეგმა შეიცავს დეტალურ ინვენტარიზაციის ცხრილს, სადაც ასახულია 21 აუდიტორია საერთო ფართობით 1850 კვ.მ, 11 ლაბორატორია (800 კვ.მ), 9-სივრციანი სტომატოლოგიური კლინიკა (400 კვ.მ), 6-სექციიანი ბიბლიოთეკა (350 კვ.მ), საგამოცდო ცენტრი, ადმინისტრაციული ბლოკი, არქივი და სანიტარული კვანძი.
კანონმდებლობით სავალდებულო ფართების ჩამონათვალში ასევე შედის სტუდენტური თავისუფალი დროის გატარების ზონები (კაფეტერია, გარე მოედანი, დასასვენებელი კუთხეები) და შეხვედრების ოთახები, რომლებიც ფუნქციურად ჯგუფური მუშაობის სივრცის ეკვივალენტად შეიძლება ჩაითვალოს.
რაც შეეხება აღჭურვილობას — შესაბამისი დოკუმენტაცია აჩვენებს შეძენილი ტექნიკისა და მასალების სრულ ნუსხას: კომპიუტერები, მიკროსკოპები, სახელმძღვანელო ლიტერატურა, პაციენტის ვირტუალური სიმულატორი, სტომატოლოგიური სავარძლები და ინსტრუმენტარიუმი, ასევე სამედიცინო ტექნიკა (დეფიბრილატორის და რენტგენის აპარატის ჩათვლით). ეს ადასტურებს, რომ ლაბორატორიული ბაზა, პრაქტიკული სწავლების პირობები და IT ინფრასტრუქტურა შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს.
ქონების კანონიერი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახადო დოკუმენტები და ბალანსის ამსახველი მასალები - ასევე არსებობს (მაგალითად, უსაფრთხოების ვიდეოთვალთვალის სისტემის შესყიდვის დამადასტურებელი ინვოისები). BAU-ს

დებულების თანახმად (32-ე მუხლი), ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა დგინდება ინვენტარიზაციის აქტების საფუძველზე.
ხელშეკრულებების ვადების ავტორიზაციასთან შესაბამისობისა და ლაბორატორიული უსაფრთხოების ნაწილში მოქმედებს ცალკე შინაგანი რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს ლაბორატორიის მენეჯერის პასუხისმგებლობებს უსაფრთხოებისა და ნარჩენების მართვის კუთხით. სანიტარული ნორმების დაცვას არეგულირებს ცალკე BAU-ს დოკუმენტი, რომელიც ეხება საპირფარეშოების მდგომარეობას, წყალმომარაგებასა და ჰიგიენურ სტანდარტებს.
ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოქმედი წესი აწესრიგებს ცეცხლმაქრების განლაგებას, აღრიცხვის ჟურნალების წარმოებას, ინსტრუქტაჟის ჩატარებას და საევაკუაციო გასასვლელების მოწყობას (მათ შორის მოთხოვნას, რომ საევაკუაციო კარები თავისუფლად იღებოდეს გასაღების გარეშე), ასევე ხანძრის დროს მოქმედების ინსტრუქციას. დამატებით დოკუმენტებით დასტურდება საევაკუაციო გეგმის დამტკიცება და ხანძარსაწინააღმდეგო თუ სამედიცინო ინვენტარის ნუსხის არსებობა.

სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებელი პირის არსებობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, ადგილზე დათვალიერებისას გამოვლინდა სამედიცინო კაბინეტის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ (ბუნებრივი/ხელოვნური განათება, ბუნებრივი ვენტილაცია, ცხელი და ცივი წყლის მუდმივი მიწოდება უშუალოდ საკაბინეტო სივრცეში.
წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ჰყავს დაცვის სამსახური, რომელიც აკონტროლებს უსაფრთხოების კამერების სისტემას; ასევე დასტურდება, რომ შენობის მთელ პერიმეტრზე (შიდა და გარე) მოქმედებს ვიდეო-აუდიო მონიტორინგი დაახლოებით 30 კამერით, ჩანაწერების შენახვის ვადითა და წვდომის წესით, რასაც ადასტურებს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ისე უსაფრთხოების აღჭურვილობის შესყიდვის ინვოისი.

უსდ-ს გააჩნია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიული აღჭურვილობა. კერძოდ, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში შედის კლინიკური უნარების ცენტრი (12 OSCE სადგურით) და ანატომიური კვეთის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მრავალფუნქციური მანეკენებით პირველადი დახმარების, ინტრავენური კათეტერიზაციის, სამეანო-გინეკოლოგიური მანიპულაციებისა და პალპაცია-აუსკულტაციის სწავლებისთვის.
ცალკე აღსანიშნავია სპეციალიზებული ლაბორატორიები - იმუნოლოგია-მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია PCR ანალიზატორებით, გელელექტროფორეზის აპარატურით, ულტრაცენტრიფუგებითა და სხვადასხვა ტიპის ავტომატური პიპეტებით. ემბრიოლოგიის ლაბორატორია, თავის მხრივ, აღჭურვილია „LEYCA" ბრენდის პროფესიული მიკროსკოპებითა და შესაბამისი სასწავლო პრეპარატებით.
ამგვარად, ჩამოთვლილი რესურსების ერთობლიობა ქმნის სრულფასოვან გარემოს როგორც თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისთვის, ისე სტუდენტთა კლინიკური და კვლევითი უნარების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებისთვის.

7.2 საბიბლიოთეკო რესურსები

საბიბლიოთეკო რესურსის რაოდენობრივი ანალიზი

2025 წლის ივლისში საბიბლიოთეკო სივრცეები გადანაწილდა უნივერსიტეტის ორივე კამპუსზე. პირველი სივრცის საერთო ფართობი 160 კვადრატულ მეტრს შეადგენს, საიდანაც 100 კვადრატული მეტრი გამოყოფილია სტუდენტთა თავისუფალი და იზოლირებული სამეცადინოდ. ეს ზონა მოიცავს შვიდ ცალკე ოთახს, საშუალოდ 25 კვადრატული მეტრის ფართობით თითოეული, სადაც ერთდროულად მინიმუმ 12 სტუდენტის განთავსებაა შესაძლებელი. სივრცე დამატებით აღჭურვილია ხუთი ინდივიდუალური სამუშაო მაგიდით სკამებითურთ და ათი კომპიუტერით შესაბამისი მაგიდებით, რაც საერთო ჯამში 100-დან 120 სტუდენტამდე ერთდროულ განთავსებას უზრუნველყოფს.

იმავე კამპუსში მდებარეობს მეორე სივრცეც, სადაც განთავსებულია ექვსი კომფორტული მოსასვენებელი სავარძელი და 26 სამუშაო მაგიდა შესაბამისი სკამებით; ეს, ჯამურად 70 კვადრატული მეტრის ფართობის სივრცე განკუთვნილია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისა და დასვენებისთვის.
მესამე სივრცე, 66 კვადრატული მეტრის ფართობით, აღჭურვილია შვიდი კომპიუტერითა და ერთი სმარტბორდით, ხოლო სამუშაო ადგილებს ქმნის 35 სკამი და 17 დიდი ზომის მაგიდა, რომელთაგან თითოეული ორი სტუდენტისთვისაა გათვლილი — ეს სივრცე ძირითადად კომპიუტერული და სასწავლო რესურსებით სარგებლობისთვისაა განკუთვნილი.
„ბიბლიოთეკის პარამეტრით სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ერთ-ერთი პარამეტრია ბიბლიოთეკის რესურსებით ხელმისაწვდომობა, რომლითაც უნივერსიტეტი ადგენს, რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია არსებული რესურსების ფარგლებში დარბაზის ტევადობის საფუძველზე. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით გათვლები იძლევა შემდეგ სურათს: მეთოდოლოგიურად, გაანგარიშება ეყრდნობა ოთხ ძირითად რაოდენობრივ მაჩვენებელს. პირველი არის ბიბლიოთეკის ტევადობა, რომელიც შეადგენს **120 ადგილს** სამკითხველო დარბაზში. მეორეა ბიბლიოთეკის მუშაობის ხანგრძლივობა, რომელიც **1.5 სრული განაკვეთის** ეკვივალენტით გამოისახება და კვირაში **60 საათს შეადგენს.** მესამე მაჩვენებელია აკადემიური წლის ხანგრძლივობა - **40 კვირა,** საიდანაც **36 კვირა** სასწავლო პერიოდზე მოდის, ხოლო **4 კვირა** გამოცდების პერიოდზე; მნიშვნელოვანია, რომ აქ, სხვა რესურსების (მაგ. აუდიტორიის) კალკულაციისგან განსხვავებით, გათვალისწინებულია სემესტრის სრული ხანგრძლივობა საგამოცდო კვირების ჩათვლითაც, რადგან ბიბლიოთეკის გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო პროცესით.
ამ სამი პარამეტრის ნამრავლი (120 ადგილი × 60 საათი კვირაში × 40 კვირა) გვაძლევს წლიურ ჯამურ რესურსს — 288,000 ადგილ-საათს, რაც წარმოადგენს იმ მაქსიმალურ დროს, რომლის ფარგლებშიც ბიბლიოთეკას შეუძლია მომსახურება გაუწიოს სტუდენტებს მთელი აკადემიური წლის განმავლობაში.
ამ რესურსის დატვირთვის მხრიდან შედარებისთვის გამოყენებულია მეოთხე პარამეტრი — სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკის საშუალო წლიური გამოყენების მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება საერთაშორისო პრაქტიკის (libraryassessment.org-ის მონაცემების) მიხედვით 50-დან 150 საათამდე დიაპაზონში, საიდანაც კალკულაციაში აღებულია საშუალო მაჩვენებელი - 100 საათი წელიწადში ერთ სტუდენტზე. ეს მაჩვენებელი მრავლდება სტუდენტთა დაგეგმილ ზღვრულ რაოდენობაზე, რომელიც აქ განსაზღვრულია 1400 სტუდენტის დონეზე (ეს რიცხვი წარმოადგენს უნივერსიტეტის ყველა პროგრამის ჯამურ სამიზნე კონტინგენტს, არა ცალკეული პროგრამის მაჩვენებელს). ამ ორი სიდიდის ნამრავლი (1400 სტუდენტი × 100 საათი) იძლევა საჭირო რესურსის მოცულობას - 140,000 ადგილ-საათს წელიწადში.
დასკვნის სახით, კალკულაცია ადგენს, რომ ბიბლიოთეკის მიერ უზრუნველყოფილი რესურსი (288,000 ადგილ-საათი) აღემატება სტუდენტთა მოთხოვნით განსაზღვრულ საჭიროებას (140,000 ადგილ-საათი) - თანაფარდობა დაახლოებით 2.06-ჯერ აჭარბებს მოთხოვნას. ეს ნიშნავს, რომ არსებული სამკითხველო დარბაზის ტევადობა და მუშაობის გრაფიკი სავსებით საკმარისია დაგეგმილი 1400 სტუდენტის მომსახურებისთვის და ბიბლიოთეკის რესურსით განსაზღვრული პარამეტრი არ წარმოადგენს შემზღუდველ ფაქტორს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის საერთო განსაზღვრისას.

საბიბლიოთეკო რესურსის თვისებრივი ანალიზი
ბიბლიოთეკა მოიცავს რამდენიმე ფუნქციურად გამიჯნულ სივრცეს — წიგნსაცავს, სამკითხველო დარბაზს, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცეს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილ სივრცესა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეს, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობას.
დაწესებულებაში მოქმედებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები, ხოლო სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, მათ შორის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობით. ბიბლიოთეკაში ასევე უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა, რაც სივრცეს მოქნილს ხდის სხვადასხვა ტიპის სასწავლო და კვლევითი აქტივობისთვის.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია და რეგულარულად განახლდება შესაბამის დარგში მიმდინარე განვითარებების შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, ხოლო ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

გარდა ფიზიკური ფონდისა, სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც აფართოებს კვლევითი და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, უსდ-ს მიერ წარმოდგენილია ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის ბარბაროსის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი: პირველი დოკუმენტი, statistics.xlsx, წარმოადგენს 2024 წლის სექტემბრიდან 2025 წლის ივნისამდე პერიოდის ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკას. მასში აღრიცხულია ცამეტი წამყვანი საერთაშორისო სამედიცინო და აკადემიური ბაზა — Access Medicine, Scopus, Clinical Key, Springer Link, MEDLINE Complete, Science Direct, ProQuest Central, ProQuest E-Book Central, SAGE Journals Online, Web of Science, Thieme E-book Library, UpToDate და Wiley Online Library — ყოველთვიური გამოყენების მაჩვენებლებით და წლიური ჯამებით. მონაცემები აჩვენებს, რომ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ყველაზე აქტიურად სარგებლობდნენ Scopus-ითა და Access Medicine-ით, ხოლო საერთო ჯამში ბაზების გამოყენებამ დაახლოებით 6,874 შემთხვევას მიაღწია მთელი წლის განმავლობაში, რაც მეტყველებს ბიბლიოთეკის კვლევითი და სასწავლო რესურსების აქტიურ ათვისებაზე.

მეორე დოკუმენტი, წიგნების სრული სია, არის ბიბლიოთეკის ფონდის სრული კატალოგი, რომელიც მოიცავს 1,652 ერთეულს შტრიხკოდით, სათაურით, ავტორითა და მასალის ტიპით. ფონდის უდიდეს ნაწილს, დაახლოებით 1,515 ერთეულს, ტრადიციული ბეჭდური წიგნები შეადგენს, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადანაწილებულია სამეცნიერო სტატიებს, ელექტრონულ წიგნებსა და საგანმანათლებლო ფლეშქარდებს შორის. კატალოგის მასალა ძირითადად სამედიცინო და კლინიკურ დისციპლინებზეა ორიენტირებული — წარმოდგენილია ისეთი დარგები, როგორიცაა შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, ოფთალმოლოგია, ონკოლოგია და ფარმაკოლოგია, რაც ასახავს ბიბლიოთეკის ფუნქციას, როგორც სამედიცინო განათლების მხარდამჭერი ცენტრისა.

ორივე ეს დოკუმენტი ლოგიკურად უკავშირდება პროექტში არსებულ სხვა მასალას — კერძოდ, ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განახლების მექანიზმების აღწერას, სადაც ხაზგასმულია ელექტრონულ ბაზებზე წვდომის, ღია წვდომის პლატფორმებისა და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის მნიშვნელობა, ასევე კალკულაცია 2026 დოკუმენტს, რომელშიც ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ტევადობა გამოყენებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ პარამეტრად.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს, კერძოდ ბიბლიოთეკარებს, გააჩნიათ საბიბლიოთეკო საქმის შესაბამისი კომპეტენცია, მათ შორის უნარი, გაუწიონ სტუდენტებსა (ქართულ და ინგლისურ ენაზე) და პერსონალს კონსულტაცია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდებას ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების შესახებ - მათ შორის საორიენტაციო შეხვედრებისა და კონსულტაციების ფორმატში ხოლო საჭიროებისამებრ ეხმარება მათ ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში, გარე წყაროებზეც, სხვა ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობით ან შესაბამისი მასალის შესყიდვის გზით, და ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს.

ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ღიაა კვირაში ექვსი დღის განმავლობაში, ჯამში 60 საათის ხელმისაწვდომობით. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ხოლო ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ ადმინისტრირებას და გამოყენებას. სტუდენტთა და პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს არსებული რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე.

7.3 საინფორმაციო რესურსები

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული 2025 წლის 5 ნოემბერს, არეგულირებს უნივერსიტეტის IT ინფრასტრუქტურას, ელექტრონულ სისტემებს, ქსელურ უსაფრთხოებას და მონაცემთა დაცვას სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პოლიტიკის მიზანია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობა, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობისა და GDPR-ის შესაბამისად, რასაც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური სამსახური IT სპეციალისტის მეშვეობით.
უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური ბაზით — კომპიუტერები, სმარტბორდები, 2 ფიზიკური სერვერი და დაცული ქსელური ინფრასტრუქტურა Firewall-ითა და VPN-ით, 200 Mbps ინტერნეტ სიჩქარით და სამკატეგორიულ WiFi ქსელით. ფუნქციონირებს სამი ძირითადი მართვის სისტემა: OIS (სასწავლო პროცესის მართვა), CRM (აბიტურიენტთა მიღება) და Turnitin (ანტიპლაგიატი). მონაცემთა შენახვა ხდება პირად კომპიუტერებზე, File Server-ზე, Google Drive-სა და OneDrive-ზე, ხოლო რეზერვირება ხორციელდება თვეში ერთხელ გარე დისკზე.
დოკუმენტი ასევე დეტალურად განსაზღვრავს, რა ითვლება უსაფრთხოების ინციდენტად და როგორია მისი მართვის პროცედურა — შეტყობინებიდან სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე და მონაცემთა აღდგენამდე. საერთო ჯამში, პოლიტიკა მოიცავს ტიპურ საუნივერსიტეტო IT მართვის ყველა ძირითად ელემენტს, თუმცა ცალკეული პროცესები, როგორიცაა ერთჯერადი ხელით რეზერვირება, შედარებით ტრადიციულ მიდგომას ეყრდნობა თანამედროვე ავტომატიზებული გადაწყვეტილებების ნაცვლად.

უსდ-ის ოფიციალური ვებგვერდი (bauinternational.edu.ge) წარმოადგენს უნივერსიტეტის მთავარ საკომუნიკაციო არხს და ორ ენაზე, ქართულად და ინგლისურად, აწვდის მომხმარებლებს ყველა საჭირო ინფორმაციას — უნივერსიტეტის მისიის, სტრუქტურისა და საქმიანობის აღწერიდან დაწყებული, მიღების პირობებით, სასწავლო პროცესისა და შეფასების მეთოდოლოგიით, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შესახებ მონაცემებით დამთავრებული. საიტზე ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგი და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები თუ სტრატეგიული დოკუმენტები.
სტუდენტებისთვის განკუთვნილ ინფორმაციაში შედის აკადემიური კალენდარი, სამედიცინოსა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების ბაკალავრიატის სასწავლო გეგმები, სტუდენტთა და პირველკურსელთა გზამკვლევები, ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის, ომბუდსმენის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურების, სტუდენტური კლუბებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის შესახებ.

უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება სამართლებრივ და ტექნოლოგიურ საფუძველზეა აგებული IT ინფრასტრუქტურის საიმედოობას ადასტურებს დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები და აქტიური SSL სერტიფიკატები, ხოლო სასწავლო პროცესის მართვის სისტემებს, OIS-სა და LMS-ს, ტექნიკურად უწევს მხარდაჭერას კომპანია UBIT. ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა გლობალურ ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და ვრცელ სამეცნიერო რესურსებზე.
ინსტიტუციაში ასევე დანერგილია შენობის მართვისა და ფიზიკური უსაფრთხოების კომპლექსური სისტემები: თანამედროვე VRF ტიპის გათბობა-გაგრილება, რომლის გამართულობას ადასტურებს რეგულარული ინსპექტირება, და მაღალი რისკის სივრცეებში (ანატომიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები) დამონტაჟებული HEPA ფილტრაციის სისტემები. ფიზიკურ დაცვასა და 24-საათიან მონიტორინგს უზრუნველყოფს კომპანია „ალგანი" საგანგაშო ღილაკის სისტემით, ხოლო კრიზისულ ვითარებებზე რეაგირებას არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამაშველო რეაგირების გეგმა, რომელიც ხანძარსაწინააღმდეგო წესებთან ერთად განსაზღვრავს ევაკუაციის მარშრუტებსა და პასუხისმგებელ პირთა როლებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4 ფინანსური რესურსები

ბათუმის ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული მართვისა და ფინანსური მდგრადობის ფუნდამენტური ჩარჩო. უნივერსიტეტის მთავარი დებულება განსაზღვრავს სტრუქტურულ იერარქიასა და მართვის ორგანოების უფლებამოსილებებს, სადაც ცენტრალური როლი რექტორს ენიჭება — ის პასუხისმგებელია სტრატეგიულ, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობაზე პარტნიორთა კრებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე. დებულებაში ასევე გაწერილია უფლებამოსილებათა დელეგირებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ფუნქციონირების წესები, რაც მართვის პროცესს გამჭვირვალესა და ეფექტურს ხდის.
ამასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ფინანსური მართვის პოლიტიკა, რომელიც აწესებს ბიუჯეტირების, აღრიცხვისა და მონიტორინგის მკაცრ წესებს და პრიორიტეტად ასახელებს ინვესტირებას აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაში, სამეცნიერო კვლევებსა და ინტერნაციონალიზაციაში. პოლიტიკა ასევე უზრუნველყოფს სტუდენტური აქტივობების, კარიერული მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის სტაბილურ დაფინანსებას, რაც სააღრიცხვო სტანდარტებთან ერთად უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების საფუძველს ქმნის.

უნივერსიტეტის შემოსავალმა 2023-დან 2024 წლამდე ზრდა მხოლოდ 5.5%-ით შეადგინა, თუმცა 2024-დან 2025 წლამდე ზრდის ტემპი მკვეთრად აჩქარდა და 27%-ს მიაღწია. სამწლიან ჭრილში, 2023-დან 2025 წლამდე, საერთო ზრდამ თითქმის 34% შეადგინა, რაც მეტყველებს საოპერაციო შემოსავლების სტაბილურ და დაჩქარებად ტრენდზე.
საოპერაციო ხარჯების ზრდამ 2023-2024 წლებში 69%-ს მიაღწია — ანუ ხარჯები გაცილებით უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე შემოსავალი (5.5%). ეს შეუსაბამობა პირდაპირ აისახა 2024 წლის შედეგებზე. სამაგიეროდ, 2024-დან 2025 წლამდე ხარჯებმა კლება აჩვენა — დაახლოებით 8.4%-ით, რაც შემოსავლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომგებიანობის მაჩვენებლები.
დასაქმებულთა ანაზღაურება ყველაზე მასშტაბური ცალკეული მუხლია: 2023-2024 წლებში მან თითქმის გაორმაგება განიცადა (ზრდა ~99%), ხოლო 2024-2025 წლებში ზრდის ტემპი დამშვიდდა 10.4%-მდე. შედეგად, ხელფასების წილმა შემოსავალში 2023 წელს 34%-დან 2024 წელს 64%-მდე მოიმატა, ხოლო 2025 წელს ოდნავ დაიწია — 55%-მდე. ეს აჩვენებს, რომ ხელფასების ტვირთი შემოსავალზე კვლავ მაღალია, თუმცა ტენდენცია გაუმჯობესებისკენაა.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების წილი შემოსავალში მერყეობდა 17.5%-დან (2023) 23%-მდე (2024), შემდეგ კი მკვეთრად, დაახლოებით 9%-მდე დაეცა 2025 წელს. იჯარის ხარჯის წილმა შემოსავალში 7.4%-დან 13%-მდე მოიმატა 2024 წელს და შემდეგ 10%-მდე დაბრუნდა 2025 წელს. ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯის შემოსავალთან თანაფარდობა თანმიმდევრულად მცირდებოდა — 9%-დან თითქმის 4%-მდე.
საოპერაციო მარჟამ 2023 წელს 32% შეადგინა, 2024 წელს უარყოფითი გახდა (დაახლოებით -8.5%), ხოლო 2025 წელს კვლავ დადებით არეალში დაბრუნდა — 22%-ის დონეზე. იგივე ტენდენციას მისდევს წმინდა მარჟაც: 28% (2023), -10.5% (2024) და 14.5% (2025). ანუ 2024 წელი იყო ერთჯერადი ჩავარდნის წელი, რომლის შემდეგაც კომპანიამ მომგებიანობა აღადგინა, თუმცაjer კიდევ 2023 წლის დონეს ჩამორჩება პროცენტულად.
კაპიტალის სტრუქტურაში საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში თანმიმდევრულად მცირდება - 90%-დან (2023) 80%-მდე (2024) და შემდეგ 61%-მდე (2025), ხოლო ვალდებულებების წილი შესაბამისად იზრდება -10%-დან 20%-მდე და შემდეგ თითქმის 39%-მდე. ვალდებულებების ზრდის ტემპმა 2023-2024 წლებში 52% შეადგინა, ხოლო 2024-2025 წლებში — 115%-ზე მეტი, რაც აჩვენებს დაფინანსების სტრუქტურის თანდათანობით გადანაცვლებას საკუთარი კაპიტალიდან მოზიდულ ვალდებულებებზე (ძირითადად სტუდენტური წინასწარი გადახდებით).
საწესდებო კაპიტალი კლებულობდა ორივე პერიოდში — 8.5%-ით 2023-2024-ში და თითქმის 17%-ით 2024-2025-ში. დაგროვილი ზარალის თანაფარდობა საწესდებო კაპიტალთან შედარებით გაუარესდა 2023 წლის -52%-დან 2024-2025 წლების -63%-მდე დონეზე დასტაბილურდა.
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნეტო ფულადი სახსრები სტუდენტური/მომსახურების შემოსავლებთან მიმართებაში მკვეთრად მერყეობდა — 49% (2023) → მხოლოდ 0.6% (2024) → 25% (2025).

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 2024 წელი იყო ფინანსურად ყველაზე დაძაბული პერიოდი, ხოლო 2025 წელს ლიკვიდურობის გენერირების უნარი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა 2023 წლის დონეს ვერ მიაღწია.
დაგეგმილი შემოსავლის ზრდის ტემპი თანდათან ანელებს — 4.3% (2027), 0.9% (2028) და 2.6% (2029), საერთო ჯამში 2026-2029 პერიოდში დაახლოებით 8%-იანი კუმულაციური ზრდით. ხარჯების ზრდაც შედარებით მოკრძალებულია — საერთო ჯამში ~4.2% მთელი პერიოდისთვის, ერთი წლის (2028) მოსალოდნელი კლებით.
ამის შედეგად, ხარჯების წილი შემოსავალში პროგნოზირებულია თანმიმდევრული შემცირებით — 86.4%-დან (2026) 83.3%-მდე (2029), რაც შესაბამისად ზრდის მოგების მარჟას 13.6%-დან 16.7%-მდე იმავე პერიოდში. ხელფასების წილი მთლიან დაგეგმილ ხარჯებში შედარებით სტაბილურია მთელი პროგნოზის განმავლობაში — 64.5%-დან 66.5%-მდე დიაპაზონში, რაც მიუთითებს, რომ საკადრო ხარჯი განაგრძობს ბიუჯეტის უმსხვილეს კომპონენტად დარჩენას.

სამწლიანი მოგება-ზარალის ანგარიშგება აჩვენებს არასტაბილურ, მაგრამ საბოლოოდ გამოსწორებად ფინანსურ სურათს. 2023 წელი დაწყებული იყო საკმაოდ ჯანსაღი მაჩვენებლებით — მაღალი საოპერაციო (32%) და წმინდა (28%) მარჟებით. 2024 წელს დაფიქსირდა მკვეთრი ვარდნა, როცა ორივე მარჟა უარყოფით ზონაში გადავიდა, ხოლო 2025 წელს ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად აღიდგინა მდგომარეობა, თუმცა არ მიუღწევია 2023 წლის დონეს.
2025 წელს სურათი აშკარად გაუმჯობესდა: შემოსავალმა 27%-იანი ზრდა აჩვენა, ხოლო ხარჯებმა კი პირიქით, შემცირება განიცადა (-8.4%). ამან პირდაპირ გამოიწვია მომგებიანობის აღდგენა - საოპერაციო მარჟა 22%-მდე, წმინდა მარჟა კი 14.5%-მდე გაუმჯობესდა. ასევე დადებითია, რომ ადმინისტრაციული ხარჯების წილმა შემოსავალში მკვეთრი კლება განიცადა (23%-დან 9%-მდე), რაც მიუთითებს ხარჯების კონტროლზე მიმართულ ღონისძიებებზე.
.
მოგება-ზარალის ანგარიშგების მიხედვით, ორგანიზაცია გადის აღდგენის ფაზაში ერთჯერადი ან სტრუქტურული ხარჯვითი შოკის შემდეგ - ფინანსური მდგომარეობა 2025 წელს შეიძლება შეფასდეს, როგორც "ზომიერად ჯანსაღი.

Budget Forecast-ის მონაცემები (2026-2029) აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს აქვს მუდმივი და ზრდადი ფინანსური რესურსი როგორც კვლევითი საქმიანობისთვის, ისე კონფერენციებში მონაწილეობის, პუბლიკაციისა და ბიბლიოთეკის განვითარებისთვის.
Budget Forecast-ის მონაცემების პროცენტული ანალიზით სურათი ასე გამოიყურება: კვლევითი საქმიანობისა და კვლევის განვითარების მუხლი მთელი პროგნოზირებული პერიოდის განმავლობაში (2026-2029) იზრდება დაახლოებით 21%-ით, ხოლო ეს მუხლი მთლიანი წლიური ხარჯის თითქმის 2,5%-ს შეადგენს 2026 წელს და ოდნავ იზრდება, დაახლოებით 2,9%-მდე, 2029 წლისთვის.
კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯი პერიოდის განმავლობაში 25%-ით იზრდება, ხოლო სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციის ხარჯი — 14%-ით. ეს ორი მუხლი ერთად აღებული პროგნოზირებული პერიოდის ბოლოსთვის თითქმის 19%-ით იზრდება მთლიანობაში, თუმცა თითოეული ცალკე მთლიანი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მხოლოდ 1%-ზე ნაკლებს შეადგენს. თუ დამატებით გავითვალისწინებთ კონფერენციის ორგანიზებისა და საზაფხულო/საზამთრო სკოლების ხარჯებსაც, ეს ერთობლივი მაჩვენებელი პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 21%-ით იზრდება.
ბიბლიოთეკის დაფინანსება შედარებით უფრო ზომიერი ტემპით იზრდება — დაახლოებით 10%-ით მთელი პროგნოზირებული პერიოდის მანძილზე — და მთლიანი ხარჯის თითქმის უცვლელ, დაახლოებით ნახევარპროცენტიან წილს ინარჩუნებს ბიუჯეტში (0,51%-დან 0,54%-მდე).
საერთო ფონზე, უნივერსიტეტის მთლიანი შემოსავალი პროგნოზირებული პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 8%-ით იზრდება, ხარჯები — მხოლოდ 4%-ით, ხოლო წმინდა მოგება — თითქმის 32%-ით, რაც ცხადყოფს, რომ შემოსავლის ზრდა ხარჯების ზრდაზე მნიშვნელოვნად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, და სწორედ ამ ფონზეა, რომ კვლევის, კონფერენციების, პუბლიკაციისა და ბიბლიოთეკის მსგავსი მუხლების ფარდობითი წილიც სტაბილურად ან მცირედი ზრდის ტენდენციით ინარჩუნებს პოზიციას მთლიან ბიუჯეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიუჯეტი 2023-2024
- ბიუჯეტი 2024-2025
- ბიუჯეტი 2025-2026
- ბიუჯეტის პროგნოზირების ანგარიში
- მოგება ზარალის ანგარიშგება
- გათბობის_და_გამაგრილებელი_სისტემის დოკუმენტი გათბობის სისტემის მომსახურების შესახებ (ინვოისის/მომსახურების ტიპის ფორმა);
- ხანძარსაწინააღმდეგო_უსაფრთხოების_წესი.
- ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"-ს საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ
- გეგმიური მონიტორინგის აქტი №10 (სახანძრო უსაფრთხოების საშუალებების, პირველადი სამედიცინო დახმარების ინვენტარისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის შემოწმების შესახებ)
- ელ__ბაზების_ფლობის_დამადასტურებელი_დოკუმენტები
- ელ__ბაზების_გამოყენების_სტატისტიკა.pdf — BAHÇEŞEHİR ÜNİVERSİTESİ BARBAROS KÜTÜPHANESİ — HAZİRAN 2025-HAZİRAN 2026 VERİTABANLARI KULLANIM İSTATİSTİKLERİ (ელექტრონული ბაზების გამოყენების სტატისტიკა თურქულ ენაზე)
- ბიბლიოთეკის_რესურსებისა_და_სერვისების_განახლების_მექანიზმები
- ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა
- შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი" — ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა
- სტუდენტთა_რაოდენობის_პროგნოზირების_ანგარიში
- უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება (ბათუმი, 01.01.2024)
- BAU ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი — დებულება
- შენობა-ნაგებობისა და სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების შესახებ (მონიტორინგის აქტი)
- სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი აქტი
- შენობა-ნაგებობისა და სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების შესახებ (მონიტორინგის აქტი)
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები
- მატერიალურტექნიკური_რესურსები_განახლებული
- წიგნების_სრული_სია

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- **რეკომენდებულია, უსდ-მ 1,400 სტუდენტისთვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად მომდევნო სამი წლის განმავლობაში უზრუნველყოს დამატებითი სალექციო აუდიტორიების მოწყობა.**

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- *რჩევა 1*

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)

დავით სიხარულიძე

2. სახელი, გვარი (წევრი)

თამარ გოდერიძე

3. სახელი, გვარი (წევრი)



ნინო ალავიძე

4. სახელი, გვარი (წევრი)

ციცი პაპუნაშვილი